№ 1 | იანვარი 1913 წ. | ფასი 10 კაპ.

# დუმა

## ალმანახი

გამოვა როცა ეს შესაძლებელი იქნება. შემდეგ №-დან ვეცდებით სურათების მოთავსებას. ადრესი «კომერციული» საბეჭდავი ბ. კურცხალიასი

ქუთაისი 25 იანვარი.

ჩვენში ძალიან უყვართ პოლიტიკანობა და ნაკლებ--სერიოზული პოლიტიკური მსჯელობა. კიდე უფრო ნაკლებ—სერიოზული თვალყურის დევნება იმ დაწესებულებისთვის სადაც პოლიტიკურ მაჯის ცემა განსაკუთრებული სიძლიერით სწარმოებს, ჩვენ ვამბობთ სახელმწიფო დუმაზე. ჩვენი-პრესის დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ იგი, თუ თავის იდეური წარმომადგენლის სიტყვას არ ხედავს სახ. დუმის ანგარიშებში, ისე მას, შინარსის მოყვანას არ დაგიდევს, მაშინ, როდესაც ეს სიტყვები დიდ მასალას იძლევა სერიოზულ პოლიტიკურ აზროვნების გასავითარებლათ.

თავისთავათაც ცხადია, ასეთ ნიადაგზე ფეხს იკიდებს და თავისუფლათ შლის ფრთებს ის გასაოცარი თვისება ჩვენის პრესის ერთი ნაწილის, რომელიც თავის მოპირდაპირის ბრალიანსა და უბრალოზე ლანძღვა-გინებაში გამოიხატება.

გრძნობენ რა, რომ მისი ტყუილში დაჭერა მკითხველთა დიდ ნაწილს არ შეუძლია, ეს პრესის შემარცხვენელნი, მოყვებიან განგაშს, ამან სისულეები თქვა, ამას არაფერი არ უთქვამსო და სხვა. მკითხველი, ეს ყველასაგან დაბრიყვებული მკითხველი კი იძულებულია ყოველდღე აიტანოს მის ზურგზე ასეთი გაჯირგალება, მისი პატივისიცემის ასეთი დავიწყება. ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ დრო გამოშვებით მივაწოდოთ მკითხველს სახ. დუმის მოღვაწეობის ანგარიშები-მასალა. სრულ ანგარიშების დაბეჭდვა ჩვენთვის შეუძლებელია, მიუხედავათ იმისა, რომ დიდი სურვილი გვაქვს ამის, შეუძლებელია უმთავრესათ ნივთიერი მოსაზრების გამო, მარა შემოკლებულ ანგარიშებს, საიდანაც ყველა უმთავრეს პოლიტიკურ მომდინარეობათა სურვილი და შეხედულებანი სახ. დუმაში ნათელ ყოფილი—ხთება შეძლების დაგვარათ მათი საუკეთესო ორატორების სიტყვით მივაწოდებთ. ამ ჟამათ ჩვენი პირველი ცდა იქნება მე-4-ხე სახ. დუმის პირველი ნაბიჯის გარკვევა. ეს ნაბიჯი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი ეხება უმთავრესად მეტად საყურადღებო საგანს მთავრობის დეკლარაციას. აქ დეკლარაციის გამო ატეხილ დავაში გამოთქვა თავისი სამოქმედო პროგრამა, თავის მომავალი მოღვაწეობის გეგმა თვითეულმა ჯგუფმა და ფრაქციამ დუმაში. აქ მათ საშვალება მიეცათ ეცმნოთ ქვეყნისათვის თავისი დამოკიდებულება მთავრობასთან, მის მოღვაწეობასთან, და ასე გამოეაშკარავებინათ თავისი პოზიცია, თავისი ნამდვილი სულისკვე-

11596

Библиотека-Музей

თება.... ჩვენ ვეცდებით თავის მხრივ სრულიად ობიექტიურათ გადავცეთ მკითხველს, როგორც უკიდურეს მემარჯვენის, ისე ცენტრის და ოპოზიციონურ პარტიების ნალაპარაკები. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ, რასაკვირველია, ჩვენებურ დეპუტატებს და მათ ყოველ მნიშვნელოვან ნაბიჯის აღნუსხვას ვეცდებით. ასეთია ჩვენი განზრახვა, ხოლო რამდენათ შევძლებთ მის სისრულეში მოყვანას ეს თვით მკითხველმა განსაჯოს.

## 4 სახ. დუმის პირველი დღეები.

### 1 შესავალი.

სახ. დუმა პირველ დღეებში ორ საყურადღებო საგანს შეეხო. პირველათ მთავრობის დეკლარაციის გარშემო ატეხილ კამათს, მეორეთ—მთელ რიგს შეკითხვებისას, მთავრობის სხვა დ სხვა ორგანოთა მოქმედების შესახებ. ამ უკანასკნელზე ჩვენ ამ ჟამათ არ შევჩერდებით, რადგან შეკითხვები მხოლოდ შეტანილ იქნა და არც ერთ მათგანზე არსებითათ სახ. დუმას მსჯელობა არ ქონია. არც მთავრობას მოუცია ჯერ თავის პასუხი, მაშასადამე მალე თუ კომისიებმა არ დაასაფლავეს იგინი, ჩვეულებასამებრ მესამე დუმისა, ჩვენ კიდევ შევხვდებით და მათზე დაწვრილებით ცნობების მოწოდების საშვალება კიდევ მოგვეცემა, მართალია ზოგიერთ შეკითხვათაგან—პირდაპირ სადღეისო საჭირბოროტო კითხვებს ეხება, როგორც მაგალითად შეკითხვა არჩევნებში მომხდარ უკანონობა და მუშათა ორგანიზაციები და მუშათა კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარების შესახებ შეტანილი შეკითხვები, მარა საქმის მდგომარეობა ამით არსებითათ მაინც არ იცვლება, მაშასადამე დარჩა პირველი საკითხი. მთავრობის დეკლარაცია და მათზე გაცემული პასუხი სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფების წარმომადგენელთაგან. ჩვენ მოგვყავს ყველა ეს სტენოგრაფიული ანგარიშიდან, ჩვენი მიზანია უფრო დაწვრილებით აღვნიშნოთ მკითხველის საყურადღებოთ იმ დეპუტატების სიტყვები, რომელნიც მეტათ შემოკლებით იყო გადმოცემული დეპეშა სააგენტოსაგან და პირიქით შევამოკლოთ ის, რაც დეპეშათა სააგენტომ დაწვრილებით გვაცნობა, იმ მოსაზრებით, რომ დარწმუნებული ვართ, ყველა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებით დაინტერესებული უკვე გაეცნობოდა მათ შინაარსს; და მის შემდეგ კი არც ისე დიდი დროა, რომ მეხსიერებიდან ამოშლილიყოს. ყოველ შემთხვევაში მოვიყვანთ ასეთ სიტყვების მოკლე შინაარსსაც.

### მთავრობის დეკლარაცია.

მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა პრემიერ მინისტრმა, კოკოვცევმა მან აღნიშნა, რომ მეოთხე დუმას, მისი წინაპრის მუშაობით გაკაფული აქვს გზა სამოქმედოთ; რომ მთელი რიგი კითხვების უკვე გადაჭრილია და მთელი რიგი კიდევ გადასჭრელი. მესამე დუმამ 2500 კანონპროექტიდან 2300 განიხილა და დაკანონებულ იქმნა კიდეც.

მთავრობა ფიქრობს, რომ მეოთხე დუმის მოღვაწეობა ერთის მხრით უნდა იყოს გაგრძელება მესამე დუმის მოქმედებისა, მეორე მხრით, იგი უნდა გამოიხატოს ახალ გზების აღმოჩენაში, 1906 წლის 17 ოკტომბრის მანიფესტში აღნიშნულ უფლებრივ საფუძვლის მიხედვით. არეულობის მოსპობის შემდეგ ყველა ამის განხორციელება, როგორც მთავრობისათვის, ისე საკანონმდებლო დაწესებულებისთვის შესაძლებელი გახდა. ამიტომ საერთო მუშაობა, სამშობლოს საკეთილდღეოთ იმ იმედით, რომ უმაღლესის სურვილით განახლებული წეს-წყობილება მტკიცე საფუძველზე სდგას, შესაძლებელია. ამ შეურყეველ ნიადაგზე სდგანან სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელნიც მოწოდებულნი არიან დაიცვან რუსეთის სახელმწიფო ცხოვრების ძველის-ძველი თვისებანი—მთლიანობა, დ განუყოფლობა რუსეთის იმპერიისა. უპირატესობა რუსეთის

მიწა-წყალზე რუს ხალხისა და მართლმადიდებელ სარწმუნოებისა. ეს პრინციპები, რასაკვირველია არ უარყოფენ კანონის წინაშე თანასწორობას იმ რუსეთის ეროვნებათა, რომელნიც რუსეთს თავის საკუთარ სამშობლოთ სთვლიან და მზათ არიან მშვიდობიან კულტურული მუშაობით შეუწყონ ხელი რუსეთის კეთილ-დღეობას. რუსეთის ორთავიან არწივის ფრთის ქვეშ რუსეთის ყველა ეროვნება საკმაოდ პოვებს სარბიელს მშვიდობიანი ცხოვრებისთვის. ეს ძირითადი დებულებანი უზრუნველყოფენ სხვის სარწმუნოების პატივისცემას. შემდეგ ჩამოთვლილია კანონპროექტები, რომლებიც უნდა განიხილოს მეოთხე სახ. დუმამ.

პირველი—ადგალობრივ მართველობის და თვითმართველობის დარგი. ეს დარგი ძირითად ცვლილებას მოითხოვს.

მთავრობა გადაშინჯავს ქალაქებისა და ერობის თვითმართველობათა არსებულ კანონმდებლობას. მარა ამასთანავე მთავრობა არ დაუცდის საერობო თვითმართველობის განხორციელებას მთელს სამეფოში და აგრეთვე შეეცდება შემოიღოს იგი ბალტიის მხარეს, ვისლისას და ციმბირის ზოგიერთ გუბერნიებში; ვინაიდან დანარჩენ ადგილებში ჯერ შესაფერი პირობები არ მოიპოება ადგილობრივ.

ამის გარდა მთავრობას დამზდებული აქვს კანონპროექტები ხალხის ჯანსაღობისა, დაზღვევისა, ცეცხლისა, გზებისა, და მოხუცებულთ უზრუნველყოფისა.

საკანონმდებლო მოსაზრებათა მესამე დარგი ირის პიროვნების უფლებათა უზრუნველყოფა, თანახმათ 17 ოკტ. 1905 წლ. მანიფესტისა, პიროვნების ხელშეუხლებლობის და საგანგებო დადგენილებათა კანონპროექტთა თაობზე სათათბიროში უკვე შეტანილია კანონ-პროექტები.

მეოთხე კანონპროექტი არის დარგი სამოქალაქო სამართლის შესწორებისა. საამისო მუშაობა მთავრობამ უკვე დაიწყო და შესაფერი პროექტი შეადგინა კიდეც:

სამოქალაქო თავისუფლების შესახებ კანონ-პროექტს გარდა, მთავრობამ შეიტანა კანონ-პროექტი ,,ვოტჩინას'' გარდაქმნის შესახებაც.

აგრეთვე შემოიტანს მთავრობა კანონპროექტს კატორღელთა ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

ამას გარდა შემუშავებულია მრავალი კანონპროექტი უბრალო და სისხლის სასამართლოს შესახებ. მთავრობა ყოველ ღონისძიებას მიიღებს 1912 წლის 15 ივნისის კანონის განსახორციელებლათ. მთავრობა უყურადღებოთ არც სახალხო განათლების საქმეს დატოვებს. პირველ ყოვლისა სათათბირომ უნდა განიხილოს სამრევლო შკოლის შესახებ კანონ-პროექტი. უნდა გაუმჯობესდეს ამ შკოლის მასწავლებელთა მდგომარეობა, სოფლის ღვდლებს ჯამაგირი უნდა მიემატოს, მაგრამ მიაქცევს ყურადღებას სამასწავლებლო ინსტიტუტებსა და სემინარიებსაც. თუ საჭირო იქნება მათში საჭირო რეორგანიზაციას მოახდენს. ბევრ ცვლილებას შეიტანს პირველ დაწყებით განათლების საქმეშიც. დაარსებს საოლქო სამოსწავლო ცენტრებს, როგორც ევროპის რუსეთში, ისე განაპირა ქვეყნებშიც.

განზრახულია სამარასა და ეკატერინობურგში პოლიტეხნიკური ინსტიტუტების გახსნაც, დასავლეთ-ციმბირში უნდა გაიხსნას უმაღლესი შკოლა და სხვა.

შემდეგ მუშავდება კანონპროექტი დონის როსტოვში საქიმო ინსტიტუტისა და კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ

ვაჭრობა მრეწველობის დარგში მოღვაწეობა, რომლის განვითარება დღე-დღეზე წინ მიდის და რომელიც სულ ახალ ძალებს და კაპიტალს იხვევს, დღეს მთავრობისაგან სასოფლო მეურნეობაზე ნაკლებ ყურადღებას არ მოითხოვს. მთავრობა, საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის მიმხრობით და მფარველობის პრინციპით, რაც შეეხება შინაგან ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, ამ მხრით მთავრობის სურვილია ხელი შეუწყოს და

შრომა გაუადვილოს პიროვნების ინიციატივას. შემდეგ მთავრობას არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს რუსეთის ეკონომიურ გაძლიერებას. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი სამთო მრეწველობა, როგორიც არის მაგ. მადნების და საშენი მასალის დამუშავება, ძალიან ჩამორჩა უკან...

მთავრობა კვლავინდებურათ განაგრძობს სამშობლო ქვეყნის მრეწველობაში მომუშავე ხალხის ინტერესთა დაცვას. მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება 1912 წ. 23 ივნისს გამოცემულ კანონით, რომელიც ეხება მუშათა დაზღვევას უბედურ შემთხვევისა და ავადმყოფობისაგან და აგრეთვე დამზღვევ სამართველოსა და საბჭო დაარსებს. ამასთანავე დასავლეთ ევროპის მიხედვით, ჩვენც განზრახული გვაქვს დაარსება განსაკუთრებული სასამართლოსი, რომელიც გაარჩევს დამზღვევ საზოგადოებისა და დაზღვეულთა შორის ატეხილ დავას.

ამასთანავე მთავრობას მახლობელ საქმეთ მიაჩნია მოაწესრიგოს მუშათა მდგომარეობა სამუშავო დღის შემცირებით ქალებისა და ბავშვებისათვის. მთავრობა შეცვლის აგრეთვე სამრეწველო დებულებათა დამსჯელ კანონს და მუშათა მიმართ ანგარიშით ჩადენილ დანაშაულისათვის მრეწველებს სასჯელს დაუდებს.

მეურნეობის უმთავრესი მამოძრავებული ძალა, ცხადია, სესხის საქმე მოითხოვს არსებულ კანონების ძირითად გადაშინჯვას.

მიმოსვლის საქმეში გაუმჯობესება ნაოსნობისა (ზღვაზე თუ მდინარეებზე) ნავსადგურების აგებასა, და გარეშე ზღვებზე საალემიცემო ნაოსნობის ხელის შეწყობა რუსეთის ბაირაღის მფარველობით.

სარკინიგზო საქმის გასაფართოებლად ხაზინის ხარჯით განზრახულია საულელტეხილო გზის გაყვანა კავკასიაში, კიახტინის ლიანდაგის დაგება და ხარკოვ-ხერსონის რკინი გზის გაყვანა.

ხუთი წლის მუშაობის დასასრულს მესამე სათათბირომ მოიწონა მთავრობის კანონპროექტი სამხედრო ფლოტის განახლებისა. მთავრობა იმედოვნებს, მეტსაც ვიტყვი, მთავრობა დარწმუნებულია, რომ მეოთხე სათათბიროც ასევე მოიქცევა ამ საკითხთა განხილვის დროს, ამ ფართო უფლებით რომელიც მინიჭებული აქვს სათათბიროს მისის დაარსებით.

როგორც დიდებულ სლავიანურ და მართლმადიდებელ სახელმწიფოს, რუსეთს არ შეუძლია გულგრილათ უყუროს თვისტომს და ერთმორწმუნე სლავიანებსა, რომლისთვისაც ძვირფასი მსხვერპლი მიუტანია; რუსეთი ეცდება ხელი შეუწყოს სლავიანებს ცხოვრების იმ პირობათა მოსაპოებლათ, რომელიც სრულიად უნდა ეთანხმებოდეს მათ მიერ სხვერპლს. რუსეთი ხელს შეუწყობს მათ ცხოვრების ინტერესების დასაკმაყოფილებლათ, მათი მშვიდობიან ცხოვრების გასავითარებლათ და თავიდან იმ გართულების აცილებას, რაიც ევროპის მშვიდობიანობას მუდამ შიშსა ჰგვრის.

მთავრობა მიზნათ არ იხატავდა უთანხმოების გართულებას და გაზვიადებას, მისი ერთად ერთი მიზანი იყო და არის—ფხიზელ დარაჯათ იდგას თავის სახელმწიფოს ღირსების და მის და მის ისტორიულ უფლებათა დასაცავათ. . . .

დასასრულ იმედს გამოვთქვამ, რომ მეოთხე სათათფირო არ შეუდგება კანონ პროექტების გახილვას პარტიულის წინასწარ განზრახვითი თვალსაზრისით, ყველა ერთნაირათ იმუშავებენ ჩვენთვის და ჩვენი ძვარფასი სამშობლოს საკეთილდღეოთ. ბ.ნებო! ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრების მოთხოვნილებანი უთვლელი არის, საკანონმდებლო მუშაობა ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ და ცხოვრების შეკითხვაზე პასუხის გასაცემათ ფრიად განუზომელია; შესაძლებელია შრომა მუშაობა მაშინ დასძლიოთ, როცა თქვენ მას შეუდგებით არა პარტიათა მოთხოვნილების თვალსაზრისით, არამედ ნათელის შეგნებით იმისა, რომ თქვენ წინ გადაშლილია ვრცელი რუსეთი აუარებელი და დაკმაყოფილებელ მოთხოვნილებებით, რთმ ჩვენი ყველასათვის ერთნაირი სამშობლო და მისი უმაღლესი გამ-

გე ხელმწიფე იმპერატორი მოელიან თქვენგან მშვიდობიან და ნაყოფიერ შრომას. ჩემის მხრით, ვაცხადებ, რომ მთავრობა მზათ არის საკანონმდებლო დაწესებულებებთან მეგობრულის კავშირით განახორციელოს კანონით ქვეყნისთვის დანაპირები და აღთქმული.

---

# ნაციონალისტები.

ცენტრის (ნაციონალისტების) სახელით ილაპარაკა ლვოვმა 2-ემ.

ის სიხარულით ეგებება მთავრობის განცხადებას, რომ უკანასკნელი რეფორმების გზაზე შედგა და იმ რყევას, რომელსაც სტოლიპინი იჩენდა ახლა ადგილი აღარა აქვს. თავის მხრით იგი დასძენს, რომ ეს რეფორმები უნდა გამომდინარეობდენ 17 ოქტომბრის მანიფესტიდან. ის აღნიშნავს, რომ ზოგიერთ საზოგადოებრივ მიმდინარეობებს სურდათ მთავრობა ამ გზას აცდენოდა: და ეს მათი ბრძოლა დიდხანს აჩერებდა სასურველ რეფორმების შემოღებას: „ჩვენ კონსერვატიული პარტია, პარტია ცენტრის, ვაღვიარებთ, რომ როცა საზოგადოება გადაჭრით თხოულობს რეფორმებს, მაშინ, როცა ჩვენი მხრით სახელმწიფოებრივი თვალსაზრობით ვცნობთ, რომ რეფორმები აუცილებელია, იმედია, ისინი უნდა განხორციელდეუბლ იქნენ, რათა ხალხმა იგინი არ გამოგვტაცოს, დიახ, მაშინ ჩვენი შეხედულობით უკეთესია ეს მივცეთ ჩვენ, კონსერვატორმა პარტიამ, ვინემ გამოტაცებულ იქნებოდენ რადიკალურ მიმდინარეობებით, იმიტომ რომ კონსერვატიული პარტია ყოველთვის იძლევა იმდენ რეფორმას, რამდენიც სავსებით აუცილებელია, და არა რაიმე თეორეტიულ მოსაზრების მიხედვით. (ცენტრში „ვაშა“). ჩვენ, კონსერვატორებს შეგვიძლიან, განაგრძობს ლვოვ 2-ე—17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველზე ისეთი რეფორმების მიცემა, რომელნიც არ შეეხებიან სახელმწიფოებრივ შეურყეველ საფუძვლებს; მთავრობამ ასეთი საფუძვლები ნათლად გამოსთქვა და ჩვენ მას ვეთანხმებით. ესენია: მონარქიული მთავრობა, რუსის ხალხოსნობა და მართლ მადიდებელი ეკლესია. და ყველა რეფორმა ამ ძირითად საფუძლებს უნდა ეთანხმებოდეს. ეს თავი და თავია. იგი ამნაირად ამ მხრითაც სავსებით ეთანხმება მთავრობის დეკლარაციას. ის უწონებს კოკოვცევს რეჩში იმას, რომ მისი დეკლარაცია უფრო მკაფიო და ნათელია, ვინემ სტოლიპინის დეკლარაცია იყო. ის ერთი მხრით აშკარად ეუბნება იმ მომდინარეობებს, რომელნიც არავითარი რეფორმები არ სურთ, მეორე მხრით საზღვარს ავლებს მთავრობასა და იმ მემარცხენეთა შორის, რომელნიც მარტო აუცილებელ რეფორმით არ კმაყოფილდებიან და მეტს თხოულობენ. თუ რუსეთს სხვა სახელმწიფოსთან შეტაკება მოუვიდა, ნაციონალისტები მთელ თვის ძალას მოახმარენ სახელმწიფოს სახელისა და პატივის დაცვას... ჩვენ ვერ უარვყოფთ ისტორიულ გადმოცემებს, ვერ უარვყოფთ იმ აზრს, რომ რუსეთი სლავიანური ქვეყანაა, რომ მისი ისტორიის საუკეთესო ფურცლები მორწყულია სისხლით, რუსეთის სახელმწიფოს პატივის და ღირსებისათვის, როგორც სლავიანურ სახელმწიფოსი და როგორც აღმოსავლეთში მართმადიდებელის დამცველის. აი, ამას აცხადებს ცენტრის პარტია.

---

**პურიშკევიჩი** (უკიდურესი მემარჯვენე) უკმაყოფილოა მთავრობის დეკლარაციით. მისი აზრით დეკლარაცია წარმოადგენს დიდ, მრავალტომიან მშრალ სათაურს, რომლიდგანაც შეუძლებელია წარმოდგენა ვიქონიოთ საკანონმდებლო მუშაობის მსვლელობისა. მემარჯვენეები ცივათ შეხვდენ დეკლარაციას, რადგან ის შეიცავს დევიზებს, რომელთაც მნიშვნელობა ქონდა მხოლოდ 1905—06 წლებში, როცა სახელმწიფოებრივი ძალა გაიქცა. როცა ის აღარ არსებობდა და როცა ლაგამი წაეხსნა მემარცხნე პარტიების ვნებათ. დევიზების წამოსროლა მოქალაქეებრივ გამბედაობით ჩაითვლებოდა ამ დროს. ეხლა კი ეს აღარ მოწმობს მოქალაქეობრივ გამბედაობას. ეხლა კი ჩვენ გვესაჭიროება არა სიტყვები, ეხლა ჩვენ ვთხოვთ კიდევ მეტს: ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან მუშაობას ამ დევიზების გასამაგრებლად, ეხლა ჩვენ მოვითხოვთ მუშაობის პროგრამას, არა გარეგანს გამოურკვე-

ველს და ბურუსში გახვეულს, არამედ გარკვევით დასახულ პროგრამას, რომელმაც უნდა გაამაგროს ჩვენი დევიზების მნიშვნელობა და განამტკიცოს ის თვითმპყრობელი ძალა, რომელსაც ძირს უთხრიან მემარცხნე ფრაქციები. საბედნიეროთ შემიძლია ვთქვა, რომ სანამ ჩვენ ცოცხალი ვართ, სანამ მემარჯვენეები მუშაობენ და არ იხევენ . . . (სიცილი მარცხით). ჩვენ მოგვბეზრდა თანამედროვე მთავრობის რყევა და სისუსტე: მას არ შეუძლია მტკიცეთ და პირდაპირ თქვას, თუ რა უნდა მას . . . ჩვენ დავინახეთ, რომ ის ირხეოდა მარჯვნიდან მარცხნით, მან გვასიამოვნ: ჩვენც, ცენტრსაც და მემარცხენეებსაც არ მოეპყრო ურიგოთ . . .

ბატონებო, კანონების ღირსება განიზომება არა მათი რიცხვით, არამედ თვისებით, ამიტომ დეკლარაციის შინაარსი სახელმწიფოს დამშვიდების გარანტიას არ იძლევა.

უნდა ჩაუფიქრდეთ ამ გარემოებას, რომ მემარცხნე ფრაქციების ტაქტიკა ისეთი აღარ არის, როგორიც 1905 წელში იყო. ტაქტიკა შეცვლილია, მან უკუ აგდო სასტიკი სახე, მას აღარ აქვს საბრძოლველი ტაქტიკის ხასიათი, არამედ შეუმჩნევლათ, ჩუმად უთხრის ძირს მთავრობას; ამან ვერ უნდა აუხვიოს თვალი მთავრობას; ვერ უნდა შეიყვანოს შეცდომაში მემარცხენეების კანონიერ (ლოიალურ) ხასიათის შესახებ. მათში არ არის არც კანონიერება, არც უქვეშევრდომილესი გრძნობები, არც რუსეთის პროგრესიულ განვითარების სურვილი იმ გზით, რომელიც უზრუნველყოფს მის ძალას, ბატონობას და დიდებას. რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რას მოვითხოვდით. მთავრობისაგან, რის მოთხოვნა შეგვიძლია მისგან, გადავხედოთ, ბატონებო, თუნდაც გაკვრით რუსეთის თანამედროვე მდგომარეობას, ვნახოთ რას ჩადიან ეს პარტიები მომავალ შესაძლო რევოლიუციის მოსამზადებლათ. ეს რევოლიუცია მოულოდნელათ დაატყდება თავს მთავრობას, თუ მან დაუჯერა, კანონიერებას რწმუნებას, რომელიც მემარცხნეთა სკამებიდან ისმის და რომელსაც გამოთქვამენ, ვამბობ მე, იმ დრომდი, სანამ სავსებით მოამზადებენ პროგრესიულ ძალთა გარევოლიუციონერებას, რომ შემდეგ ჩვენ შეგვებრძოლონ. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხალხის მასის გარევოლიუციონერება ჩქარი ნაბიჯით სწარმოებდეს, არა ეს არ ითქმის ამ წუთას, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია საჯაროთ და აშკარათ ვთქვათ, რომ ქალაქების მარცხნივ გადახრა, საერთოთ მთელი ხალხის სისტემატიურათ ხდება; ამ საერთო მარცხნით დაწევისაგან კი ერთი ნაბიჯია კატასტროფამდი . . ხალხის მასებში ქალაქის მცხოვრებლებში მუშაობა, ე. ი. მუშაობა ხალხის იმ მასაში, რომელმაც არეულობის დროს მონარქისტულ ორგანიზაციები შექმნა და მით გაუმკლავდა მემარცხნე მიმართულებებს,—ეს მუშაობა სწარმოებს ადგილობრივ. დაუკვირდით რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების სხვადასხვა დარგებს და თქვენ იხილავთ ერთსა და იმავე სურათს: ამ წუთში პეტერბურგში გამართულია ქალაქების მოღვაწეთა კრება. რა არის ეს, თუ არ იგივე მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1904—1905 წლებში,? როდესაც იწვევდენ კრებებს საბუთით და უსაბუთოთ, როდესაც ამ კრებებზე ერთდებოდენ პროფესიონალები, სახალხო მასწავლებლები, ექიმები, ვეტერინარები? ვინ ხელმძღვანელობს ფარულათ ამ კრებას? ორატორის აზრით ესენი არიან კადეტების ლიდერები მილიუკოვი და შინგრაიოვი, ისინი ამ ნაირათ ამზადებენ მომავალ მოქალაქეებრივ არეულობის . . პურიშკევიჩის აზრით, ამგვარსავე მუშაობას და გახრწნილებას ალაგი აქვს აგრეთვე გლეხობაშიაც. ორატორს მოყავს ერობის მოღვაწის სამარინის აზრი, რომლის თანახმათ რუსეთის გლეხს მიწა თან და თან ეცლება ხელიდან და თუ ეს პროცესსი ასე გაგრძელდა მომავალშიც—20 წელიწადში მოსკოვის გუბერნიის, გლეხობა სრულიათ უმიწოთ დარჩება. ორატორის აზრით შორს აღარაა ის ჟამი, როცა გლეხობის ადგილ მამული ებრაელებს ჩაუვარდება ხელში. დაუკვირდით, შეიგნეთ თუ რა ხდება გლეხობის ცხოვრების შუა გულ-

ში, სოფლებში და თქვენ დაინახავთ საშინელ, საზარელ სურათს გაველურებისას. მთელ რიგს საერობო კრებათა, რომელთაც ვერ დავწამებთ რეაქციონერობას, რეტროგრადობისა და ბატონყმობის დაბრუნების სურვილს, ამ საერობო კრებათა მთელი რიგი გამოთქვამს სურვილს შეტანილ იქნას კანონ-პროექტი სასჯელის შესახებ, შემოღებულ იქნას დასჯა, დ ჩვენც მწუხარებით უნდა მივესალმოთ ამგვარ კანონ-პროექტს (ხმა მარცხნით: სირცხვილია) ჩვენ უნდა მივესალმოთ ამას, რადგან ხულიგანობას, რომელიც სოფელში ვითარდება, არ აქვს საზღვარი. არ უჩანს ბოლო- ეს ხულიგნების ველური თაობაა, რომელმაც 1905 წელში მიიღო განათლება.

შემდეგ საჭიროა ბრძოლა სექტანტებთან. მემარცხენეებს, პურიშკევიჩის აზრით, საყოველთაო სწავლების შემოღების საშუალებით უნდათ შეაფერხონ ხალხის კულტურული კეთილდღეობა დ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით მოაქციონ ხალხის მასები; ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება —ეს პროპაგანდის თავისუფლებაა. ამ ნაირათ ამზადებენ მეორე მომენტს, შესაძლებელია, დიად და უფრო საზარელ რევოლიუციისას. შეხედეთ შემდეგ, ბატონებო, თუ რა ხდება განაპირა ქვეყნებში. განა თქვენ მოწამე არა ხართ განაპირა ქვეყნების გამოთიშვის, განა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომრის მოწოდება ყველა აქ მყოფთა და მათ რიცხვში პოლონელებისაც, საერთო მუშაობისათვის სოცარ ირონიათ არ მოისმა ჩვენს ყურში. შეხედეთ რა ხდება ფინლანდიაში - . შეხედეთ რა ხდება კავკასიაში. რომ იტალიის და ბალკანეთის ხალხებს ოსმალეთი არ დაემარცხებია, განა სპარსეთის საქმეების არევ-დარევა არ გამოიწვევდა არევ-დარევას კავკასიაში?

,,განა საჭირო არაა ეხლა, ბატონებო, სერიოზული და მტკიცე კანონი, რათა შეზღუდულ იქნას ჩვენს დასავლეთ გუბერნიებში რუსთა მფლობელობიდან მიწის უცხო ტომი გერმანელების ხელში გადასვლას?'' და აი ასეთ სერიოზულ მომენტში, ორატორი აღნიშნავს ეგრეთვე, რომ გაერთიანებულ მთავრობაში არ სუფევს ერთსულოვნება და მუშაობის შეთანხმება, რაიცა დიდ სიფრთხილეს წარმოადგენს სახელმწიფოსათვის. შემდეგ პურიშკევიჩი აყენებს მემარჯვენეების მოთხოვნილებებს: ჩვენ გვინდა, ამბობს იგი, უპირველესათ სალი რუსული სკოლა. ჩვენ გვინდა უნივერსტეტის ახალი წესდება, რომელიც ხელს არ შეუწყობს სტუდენტებს და პროფესორებს გადაქცევს რევოლიუციის მებაირაღეებათ. იმავე გონებრივ დარგში, გლეხობასა და ქალაქებში ჯანსაღი სულის გასამტკიცებლათ, ჩვენ გვინდა ახალი საპოლიციო წესდება (სიცილი მარცხნით), რომელიც შეძლებას მოგვცემს ჩვენ დამშვიდებულათ ვიცხოვროთ სოფლათ . . . ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან საჩქაროთ შემოიღოს კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, რადგან უკანასკნელის უქონლობის გამო თავს იჩენს ადმინისტრაციული თვითნებობა და პროპაგანდის თავისუფლება, რომელიც არ უნდა შევიწყნაროთ, თუ ჩვენ არ გვინდა რუსეთის რევოლიუციის განმეორება.

შემდეგ ჩვენ გვინდა, რომ კანონებს რიგზე ასრულებდენ და ცირკულიარული განკარგულებები არ აუქმებდენ არსებულ კანონებს . . ჩვენ გვინდა, რომ ებრაელბს არ ენიჭებოდეს ის უფლება, რომელიც მათ ეძლევათ ცირკულიარების წყალობით და რომელსაც კანონით მოკლებული არიან. ჩვენი სურვილები, რათქმა უნდა, გაცილებით უფრო შორს მიდის (სიცილი მარცხნით). მარა ჯერ ჯერობით ჩვენ ეს გვსურს.

მატერიალურ კეთილდღეობის სფეროში ორატორი მოითხოვს გლეხთა მიწის მხრივ უზრუნველყოფისთვის მოღვაწეობის გაგრძელებას 9 ნოემბრის კანონის საფუძველზე. შემდეგ ორატორი მიუთითებს ქვა-ნახშირის და ნავთის კრიზისს და ცხოვრების გაძვირებას და მოითხოვს მიაქციოს მთავრობამ ყურადღება ამ მოვლენებს, დასასრულ ორატორი ეხება საგარეო პოლიტიკას. აქ ის მოითხოვს სამო-მარ ძალის გაძლიერებას იმდენათ, რომ ჩვენი მშვიდობიანობა სისუსტეთ არ მიემჩნიათ . . . ჩვენმა სამხედრო მინისტრმა და გაერთიანებულ-

მა კაბინეტმა არ უნდა მიაქციონ ყურადღება იმას, თუ როგორ შეხედავენ ამას საზღვარ გარეთ—გერმანია, ავსტრია და სხ. მე არ შევეხები ბატონებო, ჩვენს მეზობლებს, ჩვენთვის არ მოუნიჭებიათ უფლება გარეშე დამოკიდებულებებში ჩავერიოთ, მხოლოდ მე მგონია, რომ არ იქნება უფრო პოპულიარული ომი, წარმოუდგენელია მეტი აღფრთოვანება რუსეთის საზოგადოებაში, თუ კი ხელმწიფე იმპერატორი კეთილ ინებებს და იტყვის: დადგა და მომწიფდა ჟამი ანგარიშის გასწორებისა—ვინემ იქნება ომი ჩვენს ისტორიულ მტერთან, ნაკუწებიან (ЛОСКУТНАЯ) იმპერიასთან . .

თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს ორატორს და წესრიგისათვის მოუწოდებს (ტაში მარცხნით და ცენტრში).

**პურიშკევიჩი** დასასრულ მოუწოდებს მთავრობას დაადგეს მტკიცე პოლიტიკას და მით განამტკიცოს სახელმწიფოს ძლიერება . იმისათვის რომ არ დავმარცხდეთ ახლო მომავალში, ათავებს ორატორი, უნდა ვიქნეთ ბრძანებელნი, ძლიერნი, უნდა ვიქნეთ მტკიცე და პირველი მაგალითი აქედან მივცეთ (ხანგრძლივი ტაში მარჯვნით).

## ოქტომბრისტები

**ბარ. მეიენდორფი.** ის სრული კმაყოფილია დეკლარაციით, განსაკუთრებით იმით, რომ მასში სრულიად დამშვიდებული კილოთი არის გამოთქმული იმედი მშვიდობიან თანამშრომლობაზე მთავრობის და სახალხო წარმომადგენლებ შორის. მას მოსწონს, რომ მთავრობა რეფორმის გზას დაადგა და მღელვარებას აღარ ხედავს მხარეში. რაც შეეხება მემარცხენეთა და მემარჯვენეთა განგაშს, რომელნიც ტრაბახობენ, ჩვენ მთელი ხალხი მოგვდევს, ჩვენ სტიქიური ძალა ვართო, ბარონს ეს მათ ღირსებათ არ მიაჩნია და მთავრობაც ამბობს, რომ იგი მათ ხმას არ აყვა. ამის წინააღმდეგ იგი აცხადებს, რომ 17 ოქტომბრის პარტია, აღიარებს, რომ მის უკან არ სდგანან მასსები, მარა სდგას საღი გონიერება და თქვენ შეურაცყოფას მიაყენებთ რუსის ხალხს, თუ ამ საღ გონიერებას ისინი არ იწამებენო. საერთოთ ის მემარჯვენეებით უფრო უკმაყოფილოა, რადგან მარცხნივ უფრო კარექტიული ტონით ლაპარაკობენ, მარჯვნიდან კი—თავხიდური კილოთი. მიუხედავათ იმისა, ის დიდ გაბედულებათ უთვლის მათ, რომ გაბედეს და საჯაროთ თქვეს: ,,როზგი ხულიგანებსო!‘‘ ხულიგნობასთან ბრძოლა ერთი უდიდესი საზრუნავია და საკვირველია, რომ შესაფერ კანონს გვაწვდიან იმ მხრიდან, საიდანაც შეიძლება ამ კანონმა მსხვერპლი მოითხოვოს... (სიცილი, ტაში მარცხნივ).

რაც შეეხება მემარჯვენეთა დაპირებებს, რომელიც პურიშკევიჩმა ჩამოთვალა, 17 ოქტომბრის ფრაქცია მათ წინააღმდეგ აყენებს შემდეგს: ერთათ ერთი მიზანი, რომლის განხორციელება ჩვენის აზრით შესაძლებლათ მიგვაჩნია, ესაა მთავრობის ავტორიტეტის დაფუძნება ზნეობრივ საფუძველზე. ჩვენთვის საჭიროა მთავრობა, რომელიც ნამდვილ პატრიოტიზმით არის აღჭურვილი და არა ისეთი, რომელიც დაშინებაზე ამყარებს თავის პოლიტიკას. აი ეს უბრალო მოთხოვნილება მიგვაჩნია ადვილ განსახორციელებლათ (მარცხნით: შეუძლებელია)... მონარქიული თვალსაზრისით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაკი ძირითადი კანონები გვაქვს სადაც სწერია, რომ არც ერთი კანონი არ უნდა იქნეს გაუქმებული სახ. დუმის და სახ. საბჭოს მოუწონებლათ,. ჩვენც უნდა მხარი დაუჭიროთ ამ პრინციპს და ეს არის პრინციპი კონსტიტუციონური, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ... აქედან გადახვევა კი ბოროტებაა მთავრობისა და ხალხის წინაშე. (ტაშის ცემა ცენტრში)

## კადეტები.

**მაკლაკოვი.** (კ. დ.) აღნიშნავს, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეკლარაციაში ჩამოთვლილია კარგი და ხშირად საჭირო კანონები, მასშივე მოიპოვება მრავალი კარგი სიტყვა. მაგრამ ქვეყანა, მთელი ქვეყანა, ერთი მუჭა ხალხის გამოკლებით შეპყრობილია ერთი გრძნობით, მომავალში ძველი გზით სიარული შეუძლებელია, ეს გზა მიგვიყვანს ჩვენს მხო-

ლოდ კატასტროფამდი. ორატორი ეხება საგარეო პოლიტიკას. „მე ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ამბობს ორატორი, რომელთაც სურთ, რომ მთავრობის სიტყვები საგარეო პოლიტიკაზე მეტი სიმტკიცითა და სინათლით იყოს, გამოთქმული, რომ აქ ილაპარაკონ იმ ენით, რომელიც შეფერის რუსეთს, რომ აქ ითქვას ყველაფერი ის რაც არის და რაც სიმართლეს წარმოადგენს — რუსეთს არ უნდა ომი, რუსეთს არ სურს არავითარი დაპყრობა, რომ ის არაფერს არ ეძებს თავისათვის, მარა ამავე დროს უნდა ითქვას პირდაპირ და გარკვეულად ის, რაც არის. რომ რუსეთმა იცის თუ რაშია მისი ღირსება, მისი ისტორიული მოვალეობა, და თუ ის არ ეძებს კატასტროფებს, არც ეშინია ამ კატასტროფების (ტაში მარცხნით, ცენტრში და მარჯვნით). მე მინდა, რომ ეს გაბედული და მძლავრი კილოთი ითქვას და როცა ეს მთავრობამ არ სთქვა და ჩვენ, საზოგადოება, ვკიცხავთ მას ამისათვის, მაშინ ჩვენ მართალი ვართ, ბატონებო. მაგრამ მთავრობას შეუძლია სთქვას, რომ მან ვერ ილაპარაკა ამნაირათ, რადგან საზოგადოების იმედი არ ქონდა, შეიძლება სთქვას მან, რომ ამ ისტორიულ მომენტში არ იყო ის, რაც მუდამ იყო ძველათ, არ იყო ერთი, ერთსულოვანი რუსეთი, აქ იყო ორი ბანაკი, ქვეყანას არ სწამდა მთავრობა და მთავრობას არ სწამდა და ეშინოდა ქვეყნის, და იყო აქ გათიშვა, გაყოფა. აი ამ გათიშვით ამ გაყოფით სარგებლობენ ჩვენი მტრები და გვიწვევენ ჩვენ შანტაჟისკენ. მე მინდა ვუთხრა მათ, ამ მტრებს, რომელთაც გაზვიადებულათ წარმოუდგენიათ თავისი ძალა და თანხმობა, მე მინდა ვუთხრა მათ, რომ ისინი ძლიერ სცდებიან, რომ ისინი თავის მოქმედებით, შეუგნებლათ, შრომობენ რუსეთის ძლიერებასა და რუსეთის ერთობის სასარგებლოთ. მე ვეტყოდი მათ, რომ ისინი ძლიერ სცდებიან, თუ უჯერებენ პურიშკევიჩის იმ წინასწარმეტყველობას, რომელიც ამ უკანასკნელს პარტიულმა სიბრმავემ და სიბოროტემ უკარნახა. ნამდვილათ კი, ბატონებო არ ექნება ადგილი იმას, რაც პურიშკევიჩმა გვიწინასწარმეტყველა და თუ დადგა უბედურების მომენტი, თუ დადგა მომენტი, როცა რუსეთი იძულებული იქნება თავისი ვალი შეასრულოს, ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ამ დროს ჩვენი მთავრობა არ ისარგებლებს ამ კატასტროფით, რათა ამ სახალხო უბედურების აურზაურში ხალხის ყურადღება აცილოს შინაურ კითხვებს, გაუმკლავდეს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს; ჩვენ კი, მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, იმ მომენტში ჩვენც დავივიწყებთ ჩვენს მტრობას, ჩვენ მაშინ გვემახსოვრება, რომ მთავრობა რუსეთის ღირსებას და ინტერესებს იცავს. (ხმები მარჯვნით: ვაშა). ჩვენ გვემახსოვრება მაშინ, თუ რას გვავალებს ჩვენი წარსული და ჩვენი მომავალი (ძლიერი, ხანგრძლივი ტაშისცემა მარცხნით, ცენტრში და ზოგან მარჯვნითაც). მაკლაკოვი ეხება რა საშინაო პოლიტიკას, ის აღნიშნავს, რომ შინაური მდგომარეობა წარმოადგენს ნამდვილ ნაციონალურ უბედურებას, რომ ერის ყველა ელემენტები ეძებს გამოსავლელს ამ უბედურებიდან და რომ ამ მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანს რუსეთს ძველი ლოზუნგი: „თვით-მპყრობელობა, მართლმადიდებლობა, ხალხოსნობა.“ მე ვეტყვი ამ იდეის ფანატიკოსებს, მარა არა იმათ, რომლნიც ამ ფორმულით სამსახურში წარჩინებას აღწევენ, არა იმათ ვინც ამ ფორმულას თავის საპირადო ინტერესებისათვის იყენებს, არამედ იმ ფანატიკოსებს, რომელთაც მორწმუნე ადამიანის ერდგულებით სწამთ ეს იდეა: ნუ თუ ისინი, შეიძლება ღრმა მწუხარებით, მაგრამ ასეთივე სიცხადით ვერ ხედავენ, რომ უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში რუსეთის დამშვიდების ხანაში, ამ ფორმულისადმი ტრფიალება და ავტორიტეტი არ გაიზარდა. ვისი ბრალია ეს? ვინ დასცა თაყვანისცემა ამ ფორმულისადმი, რომელზედაც, არ უარვყოფ, შენდებოდა რუსეთი?! არა ჩვენ, ბატონებო, რომელთაც დიდი ხანია რაც ეს აღარ გვწამს, არა ჩვენ, რომლებიც ახალ გზებს ვეძებთ, არამედ ეს მოიმოქმედეს ამ ფორმულის მომხრეებმა და თაყვანის მცემლებმა. მართლმადიდებლობა, მართლმადიდებელი ეკლესია! მრავალთათვის დიდათ სამწუხაროა და მე მესმის ეს მწუხარება, რომ ის კარგავს პატივს და თაყვანისცემას ჩვენს მართლმადიდებელ ქვეყანაში. მაგრამ ვინ მოიმოქმედა ეს? განა ჩვენ? განა ჩვენ, რომლებმაც გავბედეთ და ვფიქრობდით, რომ სამრევლო სკოლებში უფრო ცუდათ ასწავლიან, ვინემ საეროში? განა ჩვენ, რომლებიც ვფიქრობდით, რომ სინდისის თავისუფლება ვერ შეურიგდება ვერც ბრძანებას, ვერც მუქარას, ვერც შურისძიებასო. — თუ იმ ვაჟბატონებმა, რომელთაც სამღვდელოებისაგან, ცხოველ ღვთის მოძღვართაგან, შექმნეს ეხლა საარჩევნო ნახირი,

რომელსაც მუქარითა და „პრივაზებით“ აგზავნიან (მხურვალე ტაშისცემა მარცხნით; ხმები: ვაშა). . საარჩევნო ყუთებისაკენ. ეხლა ხალხოსნობა? ეს მეორე მცნება, რომელიც აერთებდა და მაღლა სწევდა რუსეთს... ეს ის ხალხობაა, რომელმაც შესძლო მთლიან მრავალტომიან სახელმწიფოს შექმნა, იმით რომ ეს ხალხოსნობა უსაზღვროთ კეთილმოსურნე და უსაზღვროთ გამტანი იყო, როგორც ეს ნიჭსა და ძალას შეეფერის. ხოლო როდესაც ეს ხალხოსნობა იქცევა იმათ, რომელიც შურით შესცქერის სხვებს და ბოროტ ლხენას ეძლევა სხვისი დამცირების გამო, ეს ის ხალხოსნობა აღარ არის და მის საფუძველზე ვერავის ვერ აღამაღლებთ... (ხმები მარცხნით: ვაშა). ეხლა თვითმპყრობლობა? დიახ, მესამე ლოზუნგი თვითმპყრობლობაა. მარა ჩვენი ისტორიული თვითმპყრობლობა, რომელიც სიამაყით და სრული უფლებითაც ატარებდა „შეუზღუდველის“ტიტულს, ეს თვითმპყრობლობა ხომ ისტორიას ბარდებოდა 1905 წელს თავისი უმაღლესი გამრჯვების წუთს (ხმა მარცხნით: არა თქვენის მეოხებით)... იმ გამარჯვების წუთს როცა ამ თვითმპყრობლობამ რუსეთის სარგებლობა საკუთარ ძალა უფლების სისრულეს ამჯობინა. მარა ვინ გაუთხარა ძირი ამ ტიტულის თაყვანის ცემას? განა იმან, ბატონებო, ვინც სავსებით მიიღო მონარქის სიტყვა, ვინც ირწმუნა, რომ ეს სიტყვა ქარი არ არის, არამედ ისტორიის ახალი ხანის დასაწყისია; თუ იმ მევირალა მლიქვნელებმა, რომელნიც ცდილობდენ დაერწმუნებიათ ქვეყანა, თითქოს 17 ოქტომბერს არაფერი მოეცეს, რომ 17 ოქტომბრით არაფერი შეცვლილიყოს? და აი მე ვიტყვი, რომ 5 წლის რეაქციას ერთი განუყრელი ისტორიული ღირსება აქვს. რეაქციის ამ 5 წელმა დამარხა ის, რის აღდგენაც სურდათ მათ.. ისტორიამ უკვე გასწყვიტა კავშირი ამ ფორმულასთან, ზურგი უბრუნა მას... დაგვრჩენია ვქნათ ის, რაც უნდა იქნას ჩვენს მდგომარეობაში; დაგვრჩენია დავადგეთ მანიფესტის გზას... მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია მოხდეს ის, რაც ასე საჭირო და აუცილებელია: ქვეყნის და მისი მთავრობის შერიგება... თუ მთავრობას ესმის ეს, თუ მას ესმის, რომ 17 ოქტ. მანიფესტის გზა ერთად-ერთი შესაძლებელი გზაა, დაადგეს ამ გზას პირდაპირ და ურყევლათ. ნამდვილათ კი რას ვხედავთ?! მაკლაკოვის აზრით მთავრობის მოღვაწეობაში ნამდვილათ ვხედავთ უკანონობას, კანონის დარღვევას; კანონს, მისი აზრით, წინათაც არ სცემდენ პატივს მაგრამ მას არღვევდენ არა იმიტომ, რომ ის კანონია. მისი დარღვევა არ ითვლებოდა დანაშაულათ, მარა არც ღირსებათ.

ეხლი კი, ბატონებო, პირიქით, კანონს არღვევენ იმიტომ, რომ ის კანონია, მას არღვევენ არა იმისთვის, რომ ის ხელს უშლით, არამედ იმიტომ რომ ეს ახალ წეს-წყობილებასთან ბრძოლას წარმოადგენს, ეხლა ეს დამსახურებაა და ღირსებაა, ამით კარიერას აკეთებენ (ტაშის ცემა მარცხნით) და აი ამ დროს დაიწყო ის, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ ადმინისტრატიული გაველურება. შეიქმნა განსაკუთრებული ადმინისტრატიული ტიპები, განსაკუთრებელი კარიერა და განსაკუთრებელი ატმოსფერა. აი აქ, ამ კაფედრიდან ითქვა მკაცრი სიტყვა—ადმინისტრატიული ხულიგანები. ბატონებო, მე თავს დავანებებ მკაცრ სიტყვას, რომელმაც პურიშკევიჩის გაკიცხვაც კი გამოიწვია, მაგრამ აქ საშინელი არის არა სიტყვის სიმკაცრე, არამედ ის, რომ მას ღრმა ჭეშმარიტება უდევს საფუძვლათ, ვინაიდგან — რა არის, ბატონებო, ხულიგნობა და კულტურული გაველურება, რომელსაც ჩვენ სოფლათ ვხედავთ? რათ განსხვავდება ის ქურდობისა და ყაჩაღობისაგან? აი რით: ქურდი და ყაჩაღი სხვის უფლებას არ ზოგავს, რადგან ის მის მადის დაკმაყოფილებას უშლის; ხულიგანს კი მადა არა აქვს, მას სხვისი ქონება არ ესაჭიროება, ის ხედავს სხვის უფლებას, და რადგან უფლება კანონია, ის ფეხით სთელავს მას (ტაში მარცხენით), და თუ აიღებთ ხულიგანის ამგვარ პსიხოლოგიას, თუ დააკვირდებით მეორე მხრით ჩვენი ადმინისტრაციის მოქმედებას, თქვენ იტყვით, რომ აქ ადგილი აქვს, ერთისა და იმავე გვარისა მოვლენებს.. როდესაც წინეთ, ბიტონებო, ებრძოდენ საშიშ ადამანს, რევოლიუციონერი იქნებოდა ეს თუ ოპოზიცია, გუბერნატორი პირველსვე, ხშირად ცრუ დანოისთანავე, არავითარ ზომას არ ერიდებოდა ჩხრეკდა, იჭერდა, ასახლებდა,-ეს იყო პოლიტიკა, ხშირათ უაზრო, შეუბრალებელი, მაგრამ გასაგები პოლიტიკა: ის ამით საზოგადოების დაცვას ლამობდა, სხვა საშუალებას მას არ გააჩნდა. მაგრამ როდესაც ჩვენ დროში მაგალითად, სენატში ირჩევა საჩივარი გუბერნატორმა, რომელმაც თავისი განკარგულებით გამორიცხა მუზიკალური საზოგადოების წევრ-დამაარსებელთაგან ერთი პირი, ეს გუბერნატორი

ამით საზოგადოებას კი არ იცავდა, საშიშ კაცს კი არ სდევნიდა, ამით ის ამტკიცებდა, რომ მას ვერაფერი ვერ შეაჩერებს, რომ მისთვის კანონი არ არსებობს, რომ ის უტიფრად და უდიერათ იჭრება კერძო საზოგადოების კერძო ცხოვრებაში;-რა არის ეს? პატრონებო, ის შეცდომები, რომელთაც ძველათაც ჩადიოდენ,-თუ ძალმომრეობა იმ კაცისა, რომელსაც შეძლება მიეცა დაუსჯელათ გათელოს ფეხქვეშ სხვისი უფლება და სხვისი წესდება? (ხმები მარცხნით: ვაშა.)...

სავალალოა არა ის, რომ ეს შესაძლებელია; არა ის, რომ ამას ჩვენ ვტყობილობთ არა სისხლის სამართლის საქმეთა ქრონიკიდან, არა იმის გამო, რომ გუბერნატორები ამისთვის დაითხოვეს, არა იქიდან, რომ ისინი დასაჯეს, შესაფერი ადგილი უჩვენეს. არა. ამას ჩვენ ვტყობილობთ იქიდან, რომ ამ გზით გუბერნატორები ბრწყინვალე კარიერას აწყევენ. და როდესაც ქვეყანა ხედავს, ბატონებო, რომ ეს მოხდა არა მხოლოდ 17 ოქტომბრის შემდეგ, არამედ აგრეთვე 17 ოქტომბრის გამო, რომ ეს არ ნიშნავს თითქოს აქ უბრალო ქრონოლოგიური თანამედროვეობა იყოს, არამედ ნიშნავს ამას, რომ 17 ოქტომბერი, როგორც ახალი წესწყობილების განსახიერება, გახდა საერთო სანიშნო პუნქტათ ამ დახავსებულ ადმინისტრატორებისათვის. როდესაც ქვეყანა ხედავს, რომ ასე გაიგეს 17 ოქტომბერი და ასე ასრულებენ მას, როცა ყველას ამას ხედავს ქვეყანა, განა გასაკვირალია ის სულიერი განწყობილება, რომელიც მე თვით შევამჩნიე საარჩევნო კომპანიის დროს, განა უნდა გაგვაკვიროს იმ გაბოროტებამ, რომელიც დიდი ხანია აღარ ყოფილა, იმ აღშფოთებამ, რომელიც მე უკვე ჩამქრალი მეგონა, იმ სიძულვილმა ქსლანდელ მთავრობისადმი, რომლის ანგარიშის გაწევა კიდევ დიდხანს, ძლიერ დიდხანს მოუხდება მას, მაშინაც კი როცა ის თავის შეცდომას შეიგნებს?!.. (ხმები ვაშა, ვაშა)''..

შემდეგ ორატორი კრიტიკას უწევს სასამართლოს დაწესებულებას, აღნიშნავს, რომ პიროვნების ხელშეუხებლობა არ არსებობს, პრესას სდევნიან, ქვეყნის $^{9}/_{10}$ ნაწილი განსაკუთრებულ წესების მოქმედების ქვეშ იმყოფება... მისი აზრით, ძველი პოლიტიკის გაგძელება შეუძლებელია. დადგება თუ არა მთავრობა ახალ გზას, შეიგნო თუ არა მან თავისი შეცდომა? აი მთავარი კითხვა, რომელიც ქვეყანას აინტერესებს. ჩვენ ველით არა სიტყვიერ პასუხს; ჩვენ ვიცნობთ ადმინისტრატიულ თავმოყვარეობას, ვიცით რომ საზოგადოთ ძნელია შეცდომების აღიარება, მით უმეტეს ეს მთავრობისთვის. ამასთან ჩვენ სხვა რამეც ვიცით, ვიცით რომ სიტყვებს არ დაუჯერებს. ჩვენ პასუხის მიღებას მთავრობის მოქმედებიდან გამოველით, ეს მოქმედება გვაუწყებს შეიგნო მთავრობამ თუ არა, რომ ის მრუდე გზას ადგია, თუ ისევ უნდა გაყვეს ამ გზას მანამდის, სანამ კატასტროფა არ მოხდება“.

დასასრულ მაკლაკოვი მოუწოდებს მთავრობას, რომ მან „პატიოსნურათ და კეთილშობილურათ აღიაროს არა მარტო ახალი წყობილება, მანიფესტი, არამედ ყველა მისგან გამომდინარე შედეგები, გახდეს მისი ერთგული მონა, ჭეშმარიტად განახორციელოს 17 ოქტომბრის მანიფესტი; ამ გზით მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი მთავრობის მორიგება ქვეყანასთანო!“ (ტაშისცემა ცენტრში და ბარცხნით).

---

## შრომის ჯგუფი.

**კერენსკი.** ორი დღეა ლაპარაკობენ დეკლარაციაზე, განსაკუთრებით იმ მუხლზე, რომ მთავრობას სურს უფლების ნიადაგზე დადგეს. მისი აზრით ეს სრულიად საინტერესო არ არის. ჩვენ გვინდ არა სიტყვა არამედ საქმე. ეს საქმე კი აჩვენებს, რომ მთავრობის უფლების ნიადაგი მეტად შერყეულია. ამიტომ ის უმატებს. „ჩვენ ვდგევართ უფლების ნიადაგზე, მარა ვხელმძღვანელობთ იმ საფუძვლებით, რომლებითაც ხელმძღვანელობდა მთავრობა გასული ხუთი წლის განმავლობაში.'' აი ესაა საყურადღებო, ამის შემდეგ ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის, წარსული მთავრობის ნათლათ გვეტყვის როგორია კანონიერების გზა, რომელზედაც ის აპირებს შედგომას. ლაპარაკობენ თავისუფლებაზე. მაგრამ ქალაქის მცხოვრებლებმა განა იციან, რა არის თავისუფლება სოფლათ? აქ თქვენ რამდენიმეთ მაინც სარგებლობთ თავისუფლების კანონებით, 17

ოქტომბრის მანიფესტით. სოფელში კი, სიტყვის და ბეჭვდის თავისუფლება იმაში გამოხატება, რომ იქ ჩვეულებრივ, ცენზურიან გაზეთებსაც კი არ უშვებენ, იმიტომ რომ მთავრობამ იცის, რომ უბრალო საგაზეთო ცნობების წაკითხვაც კი თვალს აუხელს გლეხს. და ამიტომ ლოღიკა თხოულობს: დაუხშოს სოფელს კარი, გაბატონდეს იქ სიბნელე და შეუგნებლობა. თქვენ იცით რომ, კრების თავისუფლება სოფელში ახლა თამაშში გამოიხატება, რომ დამისთევაში ახალგაზრდათა კრებას პოლიცია ესხმება. და როცა გლეხებს სურთ რაიმეზე მოლაპარაკება—სანთელ ჩაქრობილ სახლში სხედან. პიროვნების თავისუფლება იქ იმაში იხატება, რომ გლეხს ყველა სცემს, რამდენიც უნდა და როცა უნდა, მარა პასუხის მომთხოვი და დამსჯელი არავინაა. ფაქტი, რომ მთავრობის მოღვაწეობა სოფლათ კულტურასთან ბრძოლაში გამოიხატება, ამას მოწმობს უმაღლეს შკოლის და სასწავლებლის შევიწროება საუკეთესო მასწავლებლების და პროფესორების განდევნა და მოსწავლეების უმიზეზოთ დასჯა, ერთი სიტყვით მოლდავნური სისტემა სახალხო განათლებისა. (გიჟიცკი ადგ. სუსტი ოხუნჯობაა!) ახლა უნდათ სოფლის შვილები ერთიანათ სამღვდელოებას ჩააბარონ, გლეხები ამის წინაღმდეგი არიან.

ვის ეურდნობა მთავრობა? მსხვილ მემამულეებს. მისმა ცდამ საშვალო წოდების შესაქმნელათ უნაყოფოთ ჩაიარა, 9 ნოემბრის კანონმა ეს ვერ შესძლო. ტყუილა სცდილობდენ მაგარი, მძლავრი გლეხობა შეექმნათ და ამოეშალათ მათ გულში იმის შეგნება, რომ მიწა ღვთისაა და მით ყველა უნდა სარგებლობდეს, ვინც შრომის ოფლს არ ერიდება. მთავრობა კი როცა საქმე მსხვილ მემამულეთა ადგილებს ეხება. კერძოსაკუთრების ხელშეუხლებლობას იცავს, როცა გლეხებს ციმბირსა და თურქესტანში ერეკება ოფლით მორწყულ მიწის ნაჭრებიდან, მაშინ ეს პრინციპი ავიწყდება. 9 ნოემბრის კანონი გადასახლების საკითხის შესახებ პოლიტიკურ მოსაზრებებს ექვემდებარება და არა ხალხის ინტერესებს. ამიტომ, ამბობს კერენსკი ჩვენი პრინციპია: ყველა მიწები ყველა მშრომელთ, არავის არ უნდა ქნეს მიწა, ვინც პირადათ არ შრომობს, აი ესაა პრინციპი არა ანარქიის, არამედ კანონიერების, ჩვენ ამით ნამდვილ უფლებრივ ნიადაგზე ვდგავართ. ჩვენ ვამბობთ მოვიწვიოთ ხალხი, შევეკითხოთ მას და ისე მოვიქცეთ, როგორც მას სურს, მას კი სურს რომ მიწა საყოველთაო იყოს, ეს ახლა საერთო მოთხოვნილებაა სოფლის და ქალაქის დემოკრატიისა. მიწის საკითხი ის ძირითადი საკითხია, რომელმაც წარმოშვა მოძრაობა, სახ. დუმები და სხვა. მარა სახ. დუმა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. იგი არ გამოხატავს ხალხის სურვილს, ამიტომ საჭიროა სახალხო წარმომადგენლების მოწვევა საყოველთაო და სხვ. ხმის უფლებით. ჩვენ ამას ვთხოულობდით წინეთაც, რადგან ვიცოდით უამისოთ, არაფერი გაკეთდებოდა და მართლაც არაფერი გაკეთებულა. ჩვენი პოზიცია შეურყევლათ, დარჩა ის შეიძლება შეცვლილიყო საშვალო კლასი, რომ გაჩენილიყო რუსეთში, მარა ასეთი არ არსებობს, მთავრობა მას ვერ დაეყრდნობა, ამიტომ ერთაპ ერთი ხსნა დემოკრატიაშია, რადგან შუათანა კლასი, რომელსაც შეეძლოს თავის თავი ხალხის წარმომადგენლათ იგრძნოს და მართველობა აიღოს ხელში არ მოიპოვება.

ბოლოს კერენსკი აღნიშნავს: თუნდაც რომ მთავრობას არაფერი არ მოეცა, თუნდაც ის ახალი გზით არ წავიდეს, განა ის რამდენიმეთ მშვიდობიანობას არ დაამყარებდა, რომ იტყოდეს ის სიტყვას: აღარ იქნება მეტი სიკვდილით დასჯა... რომ მან სთქვას: აღარ იქნება წამება ციხეებში, როგორც ეს ეხლა, ხდება და რასაც მთელი ევროპა კვირობს... აი ეს რომ გამოგეთქვათ თქვენ რაიმე საშვალებით ამით დაგვანახვებდით, რომ უოველივე ხალხური უცხო არაა თქვენთვის, რომ თქვენ რადაც გაერთებთ ვეება რუსეთთან, რომელიც გლეხთა დემოკრატიის ქვეყანაა. ბოლოს ის პროტესტს აცხადებს მშრომელთა მასსის სახელით საგარეო გამწვავებულ მდგომარეობაში ჩარევის წინააღმდეგ. ხალხს არ ესაჭიროება ომი და სისხლის ღვრა, ამბობს ის. ,,ჩვენის აზრით, განაგრძობს ორატორი, მხოლოდ დემოკრატიულ მთავრობას შეუძლია მშვიდობიანათ გადაწყვიტოს საერთაშორისო კითხვები, ისე რომ იარაღს არ მიმართოს'' (ტაში მარცხნივ).

# სოც. დემოკრატები.

**მალინოვსკი** (ს. დ.) ფიქრობს რომ, 4-ე დუმაში წარმოდგენილი დეკლარაცია განსხვავდება წინანდელ დეკლარაციებიდან. ეხლანდელი დეკლარაცია არ წარმოადგენს მძლავრი მთავრობის სიტყვას; ის უფრო წააგავს ,,ჩინოვნიკის'' განზრახვათა მოხსენებას. „ძველი ლოზუნგი'' ჯერ დამშვიდება, შემდეგ კი რეფორმები შესცვალეს მეორე ლოზუნგათ —,,მოდი, ნაყოფიერ მუშაობას შეუდგეთო:' მაშინ როდესაც მე 3-მე დუმის არჩევნები სრული სიჩუმით ჩატარდა, მე 4-ე დუმის არჩევნების დროს მთავრობას დასჭირდა მთელი ძალღონის მოკრება სასურველ დუმის შესადგენად. ეს იმას უნდა მიეწეროს, ორატორის აზრით, რომ ხელახლა აღორძინდა განმანთავისუფლებელი მოძრაობა, ხელ-ახლა აღიმაღლეს ხმა გლეხებმა და მუშებმა. განმანთავისუფლებელი მოძრაობა აიძულებს მთავრობას დათმობის გზას დაადგეს და აი ამ დათმობას უწოდებს მთავრობა ნაყოფიერ დადებითი მუშაობას. მაგრამ, ბატონებო, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ მთელი მუშაობა დაეყრდნობა 17 ოქტომბრის მანიფესტის მიერ დამყარებულ საფუძველზე. ბატონებო, ამას ამბობენ ისინი, რომელთაც 3 ივნისის აქტით ძირიანათ დაარღვიეს 17 ოქტომბრის მანიფესტი.

სინამდვილის გათვალისწინების შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია ვიკითხოთ: ოდნავათ მაინც ვენდოთ თუ არა ამ განცხადებას? ჩვენი ყურთა-სმენა შეეჩვია ამ განცხადებას და ჩვენც ვალდებული ვართ აქ მოსმენილ განცხადებით არ დავკმაყოფილდეთ, არამედ დავაკვირდეთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას, გავარკვიოთ ის პირობები, რომელშიაც სცხოვრობს გლეხობა და მუშათა კლასი, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ. მაგრამ სანამ ამას შეუდგებოდე, მე მინდა შევჩერდე იმ, მინისრტთა საბჭოს სიტყვით სრილიად (არაარსებულ) ციფრზე ჩვენი ბიუჯეტისა, რომელიც 3 მილიარდ მანეთზე ავიდა, დიახ, ამ ციფრებს ხომ ვერავინ შეედავება, მაგრამ საიდან, რა წყაროდან პოულობენ ამ 3 მილიარდს. არა პირდაპირი გადასახადები, მონოპოლია—აი უმთავრესი წყაროები. ჩვენ გველაპარკებიან ამ ბიუჯეტის თანასწორობიზე (равновѣсіе), მარა ვინ არ იცის, რომ ამ თანასწორობას საფუძვლად უდევს 11 მილიარდი ვალი, სახელმწიფოს ვალი, რომელიც წლიურათ 400000 მან. მეტ პროცენტების გადახდას მოითხოვს. ვინ არ იცის, რომ ჩვენ ბიუჯეტს თავისთავათ არავითარი მტკიცე ნიადაგი არ მოეპოება. ის დამყარებულია არა მტკიცე ნიადაგზე, არამედ შემთხვევით სტუმარზე პატივცემულ მოსავალზე (на госпожѣ урожаѣ), რომელსაც დღეს თავისი კაპრიზით შეუძლია კასა აავსოს, ხვალ კი შეიძლება მოითხოვოს მეტი ხარჯი, ვინემ შემოსავალი მოგვცა წინა წლების კარგ მოსავლის წყალობით.. ხაზინის ინტერესებისათვის გლეხი იძულებულია უარი სთქვასუპირველეს საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე,ის იძულებულია ხაზინის ინტერესებისათვის თავისი ოჯახი დაარღვიოს და ჩვენ შეიძლება მალე მოვესწროთ იმ დროს, როცა ხაზინის ინტერესებისათვის ის იძულებული იქნება სრულიად ტიტვლათ იაროს.... ორატორი აღნიშნავს შემდეგ რომ ბიუჯეტის უმთავრესი ნაწილი იხარჯება არა ხალხის საკეთილდღეოთ, არამედ სამხედრო საქმეზე, ინტენდანტებზე, საერო და სასულიერო მოხელეებზე, ჟანდარმებზე, პოლიციაზე და სხვ. მალინოვსკის აზრით არ არის მართალი მთავრობის განცხადება ეკონომიურ აღორძინების შესახებ. რუსეთის მრეწველობა დამყარებულია უმთავრესათ უცხოეთის კაპიტალზე და უმცირესი კრიზისი ევროპაში იწვევს კრიზის რუსეთში და ეკონომიური აღორძინება შეიძლება ერთბაშათ გაქარწყლდეს.

მთავრობის მიერ 7 წლის განმავლობაში ნაწარმოებმა საგლეხო პოლიტიკამ მიგვიყვანა

იქამდი, რომ 30,000,000 გლეხი შიმშილობს, მთავრობის 7 წლის განუწყვეტელმა მოღვაწეობამ მიგვიყვანა იქამდი, რომ ერთ წელიწადში 200,000,000 მან. შეიქნა საჭირო დამშეულთა დასახმარებლათ და საბოლოოთ ეს თანხაც გამოდგა მხოლოდ ერთი წვეთი ზღვაში. გადასახლების პოლიტიკა, რომელიც საკუთრების ღვთაებრივ ხელშეუხლებლობისათვის ვერ ბედავს მემამულეთა საკუთრების დარღვევას, არღვევს ამ ღვთაებრივ ხელშეუხლებლობას ციმბირში ართმევს ხშირათ უკანასკნელ ნაგლეჯს მიწას ციმბირის ძველისძველ მკვიდრთ, 1911 წ. 139000 გადასახლებულთაგან 50.000 უკანვე დაბრუნდენ. 1912 წ. 250000-თაგან უკნ დაბრუნდა 142.000. აი მთავრობის გადასახლების პოლიტიკის ნაყოფი.

შემდეგ ორატორი გადადის მუშათა საკითხზე. ის ახასიათებს შრომის აუტანელ პირობებს, რომლის გამო მუშა ქალები იძულებული არიან თავიანთი სახელი გაჰყიდონ. ის აღნიშნავს მუშის ხელფასის სიმცირეს და ხანგრძლივ სამუშაო დღეს. ფეიქარი ქალები მრავალ რაიონებში 3-4 მან· აკეთებენ, სამუშაო დღე კი გრძელდება 18 ს., მაშინ როდესაც რომელმა თქვენგანმა არ იცის ის რომ არსებობს 1897 წ. კანონი, რომელიც მოითხოვს რომ სამუშაო დღე არ აღემატებოდეს $11^1/_2$ საათს და ეხლა ზედმეტი სამუშავო არა მარტო კერძო არამედ სახელმწიფო დაწესებულებაშიც, რკინის გზაში, სადაც თვით მე, რომ ლუკმა პური არ დამეკარგა, იძულებული გავხდი თვეში 78 საათი ზედმეტი მემუშავა; მხოლოდ მეთოთხმეტე კვირას შემხვდა დასვენება. ეხლა ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა? სრული ბიუროკრატიული შევიწროება, საითკენაც არ უნდა გავექანოთ.

კანონიერებას ყოველ ნაბიჯზე არღვევენ: 4 მარტის კანონი პროფესიონალურ კავშირების არსებობის ნებას იძლევა, ადმინისტრაცია ჰხურავს მათ, 4 მარტის კანონი ნებას აძლევს მუშებს მოაწყონ თავისი განმანათლებელი საზოგადოებები კლუბების ან შკოლის სახით, ნებას აძლევს გახსნან კოოპერატივები, მაგრამ ადგილობრივი ადმინისტრაცია ჰხურავს მათ. ბეჭვდითი სიტყვა, განსაკუთრებით მუშების, განიცთის ისეთ დევნას რომელიც ჩვენ არ გვახსოვს იმ დროიდანაც, როცა ეს შესანიშნავი სიტყვის თავისუფლება არ არსებობდა. ეხლა გაფიცვები, რომლებიც მმართველ სენატისაგან კანონიერათაა ცნობილი! ხარკოვის, პეტერბურგისა დ ოდესის მუშებს ასახლებენ სწორეთ იმ მშვიდობიან გაფიცვებისათვის, რომელნიც დართულია კანონის მიერ. მთავრობა კი როცა მას კანონიერ პასუხისმგებლობისათვის მოუწოდებენ, გვიპასუხეს: ასე ყოფილა, და აწიც ისე იქნებაო.

ბატონებო, მე ძლიერ მონდომებული ვარ გადმოგცე თქვენ ნათლათ მუშათა მასის და გლეხობის ის სულიერი განწყობილება, რომელსაც იგინი განიცდიან ეხლა. როდესაც არა ერთხელ გიხდება ლაპარაკი კანონიერებაზე, საშინელი გრძნობა გიპყრობს, რადგან იცი, რომ მათ აღარა აქვთ რწმენა, ეს რწმენა მათში განადგურებულია, ადმინისტრაცია ყოველდღიურმა მოქმედებამ იქამდი მიაღწია, რომ როცა მათ ელაპარაკებიან რაიმე კანონიერებაზე, საფაბრიკო ინსპექტორის მიმართვაზე, დაქირავების ხელშეკრულების რომელიმე მუხლზე, მათ არ სწამთ ეს, რადგან თქვენმა მოქმედებამ გააქარწყლა კანონიერებისადმი რწმენა....

მაშინ როდესაც აგებენ საპყრობილეებს, ანგრევენ მოსკოვის და სხვა უნივერსიტეტებს პოლიტიკურ ტყვეებს, სამშობლოს საუკეთესო შვილებს ჰკლავენ, მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა არღვევს ფინლანდიის სეიმს, პოლონეთის... ეხლა ებრაელების დევნა, საპროცენტო ნორმა... მესამე დუმამ კი თავისი ბეჭედი დაასვა მთავრობის ყოველივე მოქმედებას სტუდენტების ცემით დაწყებულს ლენაზე დახვრიტით გათავებულს. მთავრობა ირყევა, მას არ მოეპოება ნამდვილი დასაყრდნობი ძალა... თუ მას მოეპოება რაიმე ამ დასაყრდნობ ძალის მაგვარი-ეს გახლავს

ერთი მუჭა ხალხი—მსხვილი კაპიტალისტები და მსხვილი მემამულეები, მაგრამ ბატონებო, მათგან ხეირს ვერავინ ნახავს.

საბოლოო დასკვნა მთავრობის პოლიტიკის განხილვისაა ისაა, რომ მთავრობა იცავს მხოლოდ შეძლებულ კლასთა ინტერესებს და არვითარ ყურადღებას არ აქცევს მშრომელ ხალხის ინტერესებს და ეს არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკაშიაც.

ორატორის აზრით საერთაშორისო განწყობილებათა გართულება გამოწვეულია მთავრობათა სურვილით, ხალხის ყურადღება შინაურ საქმეებს მოაცილონ და უცხოეთისაკენ მიაპყრონ. მისი აზრით, ერთად ერთი დამცველნი ჩაგრულ ერთა არიან სოციალისტები. მალინოვსკი დაასკვნის, რომ სახელმწიფო განვითარება შეფერხებულია, რუსეთი დახშულ კუთხეში შეიჩება და იქიდან მისი გამოყვანა შეუძლია მხოლოთ ღრმა დემოკრატიულ რეფორმებს.-

შემდეგ ორატორი კითხულობს სოც დემოკრატიულ ფრაქციის დეკლარაციას.

**ქ. ჩხეიძე** (თფილისის გუბერნია) თუ გახსოვთ, ბატონებო, მინისტრთა თავმჯდომარემ თავის დეკლარაციის თავში აღნიშნა და ხაზი გაუსვა განსხვავების იმ პირობებს, რომელშიაც მუშაობის დაწყება მოუხდა მესამე დუმას და რა პირობებშიაც მეოთხე დუმას მოუწევს მუშაობის დაწყება. მინისტრი ამ განსხვავებას შემდეგში ხედავს: „მესამე დუმას არ ჰქონდა პრეცედენტი, მეოთხე დუმას კი აქვს; მესამე დუმას სამუშაო ნიადაგი არ ჰქონდა, მეოთხე დუმას კი ასეთი ნიადაგი აქვს. ამ ნიადაგის მომზადებას, განაცხადა მან, მესამე დუმამ ბევრი სახელმწიფო აზროვნება მოახმარა“. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება მესამე სახ. დუმის სახელმწიფოებრივ აზროვნებას. (სიცილი) მერმეთ მინისტრთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მესამე სახემწიფო დუმაში შეტანილი იყო დიდი ვრცელი დეკლარაცია, რომელიც შეიცავდა სახემწიფო მართვა-გამგეობის ყველა დარგს. და აი მესამე დუმაც მოქმედების გარკვეულ, კონკრეტიულ გზაზე დადგა. მასში შეტანილი იყო 2500 კანონ-პროექტი, რომლიდგან 2200 ძალაში შევიდა და უკვე კანონად იქცა. როგორც ხედავთ, ბატონებო, პირობებში განსხვავება მართლა და არსებითი ყოფილა. ეს ყოველ იჭვს გარეშეა. მაშასადამე რაკი მეოთხე დუმას ასეთი ხელსაყრელი პირობები ხელს უწყობს, მან შედარებით ერთიორად მეტი უნდა გააკეთოს. ეს ხომ მინიმუმი იქნება და მეტი არაფერი. ამ რიგად ადვილი წარმოსადგენია, რომ მეოთხე დუმის ბოლოს 4400 კანონ-პროექტი ძალაში იქნება შესული და კანონად აღიარებული. 10 წლის შემდეგ კი, ამ ანგარიშით რუსეთს 6800 კანონ-პროექტი ეღირსება ესე იგი ციფრის, სილამაზისთვის რომ ვთქვათ, შვიდი ათასი კანონი გვექნება. და აი ბატონებო, ამის შემდეგ ნუ თუ საკვირველი არ არის, რომ მაინც არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩვენს შთამამავლობას და რუსეთის მომავალს უიმედობით უყურებენ. შვიდი ათასი დაკანონებული კანონ-პროექტი! ბატონებო! მე არ ვეკუთვნი იმ უიმედოთა ჯგუფს, რომლებიც რუსეთის, მომავალს ასეთი თვალით შესცქერიან, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ განსხვავებას, რომელზედაც ბ.ნი მინისტრთა თავმჯდომარე მეოთხე დუმის ნაყოფიერ მოქწედების იმედს ამყარებს, მე სულ სხვაში ვხედავ, ვიდრე ის. მე აი რაში ვხედავ: მე მაქვს ბატონებო, სახეში ის ფაკტი, რომელიც ჩვენ მეოთხე დუმის მუშაობის დასაწყისში ვნახეთ, ეს ფაქტი შემდეგში მდგომარეობს: ერთი მხრით აღთქმა, რომელიც თუ გახსოვთ, ამ ტრიბუნიდან მუშაობის დაწყებისთანავე დაგვიდვა ვლადიმირ მიტროფანეს ძე პურიშკევიჩმა; ის შეგვპირდა, რომ ის და მისი თანამოაზრენი შემდეგში ზრდილობიანად იქნებიან, (სიცილი მარცხნივ) მეორე მხრით ბ-მა კოკოვცევმა აღგვითქვა, რომ შემდეგში დუმასთან თანამშრომლობის დროს, ის იმუშავებს პარტიულ შეხედულებათა განუსჯელათ, ამასთან ბ-ნებო, როგორც გახსოვთ პურიშკევიჩიც და კოკოვცევიც გვირჩევდა ჩვენც ერთმანეთ შორის ვყოფილიყავით მეზობლურ დამო-

კიდებულებაში და კეთილგანწყობილებაში. ბატონებო, მე რომ ეგ დაპირება რუსეთის გარეთ გამეგონა, მე მას არასოდეს არ დავიჯერებდი, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ რუსეთი კაი ხანია მოულოდნელ ამბების ქვეყნად გადაიქცა, ამისათვის იმ აღთქმათა განხორციელება, რომლებიც აღგვითქვეს ვლადიმირ მიტროფანეს ძე პურიშკევიჩმა და ვლადიმირ ნიკოლოზის ძე კოკოვცევმა, მეც შესაძლებლათ ვცანი, მაგრამ თქვენ კარგად გახსოვთ თუ რა შედეგი მოყვა ვლადიმირ მიტროფანეს ძის აღთქმას: ის წამოხტა ამ ტრიბუნიდან და მისი აღთქმაც ზრდილობისა და კეთილ-გაწყობილების შესახებ სავსებით შეიმუსრა. ამისათვის მე ვეკითხები ჩემ თავს: რა დაემართება ვლადიმირ ნიკოლოზის ძის კოკოვცევის აღთქმას მის დეკლარაციაში იქნება თუ არა ის პურიშკევიჩის აღთქმაზე უფრო ხანგრძლივი? (სიცილი.) მე ვფიქრობ ბატონებო, რომ თქვენც დამეთანხმებით ერთ რამეში, სახელდობრ, რომ ადამიანების შესახებ იმის მიხედვით კი არ მსჯელობენ, თუ როგორ ფიქრობენ ისინი თავის თავზე, არამედ, მათზე მათი მოქმედების მიხედვით, და აი სწორედ ამ მოსაზრებით პირველად ყოვლისა უნდა დავაყენოთ კითხვა: ვისთან გვაქვს ჩვენ საქმე? ამ ტრიბუნიდან მთავრობის სახელით ვინ იძლევა აღთქმას? ბატონებო, თუ თქვენ რუსეთის ახლობელ წარსულს გადახედავთ და გაითვალისწინებთ, მაშინ გეკითხებით თქვენ ნუ თუ ეს საკმარისი არ არის, ნუთუ სავსებით არ უნდა ვიკმაროთ, რომ დავასკვნათ, თუ რა ფასი აქვს მთავრობის აღთქმას? ნუ თუ თქვენ საკმარისათ არ მიგაჩნიათ, რაც თქვენ ამ 5·6 წლის განმავლობაში ნახეთ და განიცადეთ, ნუ თუ ბატონებო, რუსეთმა, ცუსიმის დროიდან და უკანასკნელ დღემდე ვერ მიახწია იმ შეგნებამდე, რომ მთავრობის დაპირებას ენდობა მხოლოდ მოღალატე გამცემი, ან დამთხვეული გიჟი, ან და ისეთი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთში მხოლოდ ველურები ცხოვრებენ, რომელთაც არავითარი შეგნება არ აქვთ იმის თუ რა არის მათი უბედურების მიზეზი. ბატონებო, მთავრობა რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში დაპირებისა და აღთქმის მეტს ხომ არაფერს აკეთებს. მთავრობა ათეული წლების განმავლობაში იმ ნიადაგზე დგას, რომ სურს ძირითადი რეფორმები შემოიღოს; მაგრამ ამავე დროს ბატონებო, თქვენ კარგად ხედავთ, რომ იგივე მთავრობა მამაცურად ახვევს თავზე ხალხს მართვა გამგეობის ისეთ ფორმებს, რომელთაც ადგილი ქონდა თათრობისა და ,,აპრიჩნიკების'' ხანაში. და აი ამის შემდეგ მინისტრთა თავმჯდომარე ტრიბუნიდან საჯაროთ აცხადებს, რომ მთავრობა ეძიებს ახალ საშვალებას და გზას, რომ სახელმწიფოს საზოგადო წესწყობილება მტკიცეთ დააფუძნოს 17 ოქტომბრის უმაღლესათ ბოძებულ მანიფესტის თანხმათო. ამ აღთქმის დასამტკიცებლათ, რომ ეს შესაძლებელი და განსახორციელებელია, იცით, ის რას გვირჩევს? ის გვირჩევს, რომ ვიაროთ და კუდში მივდეოთ მესამე სახემწიფო დუმას, ე. ი. სწორეთ იმ დუმას, რომელიც ცნობილი იყო იმით, რომ მან 17 ოქტომბრის მანიფესტი სავსებით დაასამარა. მე თქვენ გეკითხებით, ბატონებო, ეს დაცინვაა თუ ხუმრობა? ბატონებო, თუ ეს დაცინვა ბ-ნ კოკოვცევის ბაგიდან არის, უნდა მოვახსენოთ მას, რომ გულიანად მხოლოდ ის იცინის, ვინც უკანასკნელად იცინის და სიცილის გუნებაზეა და თუ ეს ოხუნჯობაა,-სრულიად უადგილოა, რადგანაც 17 ოქტომბრის მანიფესტის მოგონება, უფლებათა დამყარებისა დ მოპოების მოგონებაა. ბატონებო, ის ხალხს გაახსენებს იმ ქრილობას, რომელიც მან მიიღო და აწიც მიიღებს მაგ მანიფესტის მეოხებით.

ახლა ნება მიბოძეთ შევეხო დეკლარაციის ზოგიერთ ადგილებს და მთავრობის ზოგიერთ დაპირებას. როგორ მოუწონოთ ბატონებო, მაგალითად ბ-ნ კოკოვცევს კეთილი სურვილი ინოროდცებისადმი. ნება მიბოძეთ ბატონებო, ამ წამში ვიკისრო ინოროდცის როლი და მის მაღალ აღმატებულებას უუმაღლესი მადლობა მოვახსენო. მარამ ამასთანავე ჩემ თავს ნებას ვაძლევ შევეკითხო მას აი რა:

ის პირდება ყველა ინოროდცებს, რომლებსაც რუსეთი თავის სამშობლოთ მიაჩნიათ, ყოველგვარ სიკეთეს; ვუხდი რა მადლობას, მე მაინც ვეკითხები ბ-ნ კოკოვცევს, რომელი რუსეთის შესახებ ლაპარაკობს და რომელი რუსეთი ყავს სახეში? ყოველთვის, ხომ ერთსა და იმავეს იმეორებენ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი განუყოფელი რუსეთი. მე თქვენ ბატონებო, გადაჭრით მოგახსენებთ, რომ ქვეყანაზე არ არსებობს ერთი განუყოფელი რუსეთი. (მარჯვნით სიცილი) დიახ ბატონებო, ქვეყანაზე არის ორი რუსეთი, დიახ ორი, თუ როგორია ეს ორი რუსეთი და თუ მასში რა განსხვავება ამას ახლავე მოგახსენებთ. (სიცილი მარჯვნივ) ბატონებო, არის რუსეთი ოფიციალური, არის რუსეთი პოლიციელების, არის რუსეთი, რომლის მრწამსია ,,ათრიე და არ გაუშვა‘‘ არის რუსეთი მცხოვრებთა ზურგზე მათრახის გადამტლაშუნებელი, სახრჩობელაზე ამყვანი, გამძევთ-გადამსახლებელი და ყოველივე სიცოცხლის ჩამხრჩობი. არის რუსეთი, რომელიც ანადგურებს კულტურას, შეუბრალებელ ექსპლოატაციას უწევს ხალხს, (მასსას) სთელავს და ყლაპავს ხალხის სიმდიდრეს, არის რუსეთი ექსპლოტატორების, მტაცებლების, პარაზიტების, ავანტიურისტების, არის რუსეთი, რომელიც უკან საშვალო საუკუნისაკენ მისწრაფის, არის რუსეთი ცოცხალ ლეშათ გადაქცეული და თავის გარშემო ჰაერის მომწამვლელი. ეს ერთი რუსეთია.

არის მეორე რუსეთიც: რუსეთი მშრომელი ხალხის, ახალგაზრდა რუსეთი, რუსეთი მასში მყოფი ყველა ცოცხალი ელემენტებისა, რუსეთი, რომელიც მიისწრაფვის განახლებისა და აღორძინების გზით. რუსეთი მწყურვალე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ფართო უფლების. რუსეთი ბრწყინვალე მომავლით ღ სამერმისო დიდებული იდეალით. აი ბატონებო, როგორი ორი რუსეთია ჩვენში, და ამ ორი მიმდინარეობის შეერთება, ერთ კალაპოტში ჩაგდება შეუძლებელია. მე ვეკითხები ბ-ნ კოკოვცევს, რომელ რუსეთს მირჩევს მაგალითად მე უცხო ტომისას და სხვა ჩემისთანებს, რომ თავის სამშობლოთ ვაღვიაროთ?! თუ ის ბატონებო, გვირჩევს პირველ რუსეთს, მაშინ მე ვფიქრობ, რომ ყველა კეთილშობილი უცხო ტომის წევრი ასეთ სამშობლოს ზიზღით ზურგს უჩვენებდა, და მასთან ყოველ გვარ კეთილ განწყობილებას თავის გათახსირებათ და უდიდეს დამცირებათ ჩათვლიდა. ეს თქვენი რუსეთია. რაც შეეხება მეორე რუსეთს, ჩვენ მის კეთილგანწყობილების ქვეშ კი არ ვართ, არამედ უ კოკოვცევთაც, მინისტრთა უკაბინეტოთაც და უთქვენოთაც ვნახეთ მასთან ერთი საერთო გზა, გზა სოლიდარობისა, სიყვარულისა და ამ რუსეთის პატივისცემისა. (ტაშისცემა მარცხნით ) ამ სოლიდარობის გზას, ჩვენ ბატონებო, ორთავიანი არწივი კი არ გვიმშვენებს, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელთა მასსის სოლიდარობის დროშა. (მარცხნით ტაშის ცემა, მარჯვნით ხმა: წითელი ფერის!) წითელი ფერის, ნამდვილი წითელი ფერის! ახლა ბ-ნ კოკოვცევის დაპირება შესახებ თვითმართველობისა! როგორ მოგწონთ, ბატონებო, ბ-ნ კოკოვცევისა ბაგეთაგან, ადგილობრივ თვით მართველობის რეფორმების დაპირება, მის შემდეგ რაც,—ალბათ ეს ბ-ნ კოკოვცევსაც კარგად ახსოვს,—დარღვეულ და გაუქმებულ იქნა მონარქის დაპირება, უცერემონიოთ გაანადგურეს საუკუნეთა განმავლობაში არსებული ფილიანდიის კონსტიტუცია, როგორ მოგწონთ ეს დაპირება იმის შემდეგ, რაც ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოები, ამ ჟამათ გადაქცეულია, არა მარტო წოდებათა და კლასთა ინტერესების დასაცველ საშუალებათ, არამედ ისთ ბრძოლის იარაღად, რომელმაც უნდა გააღვიძოს და გაამწვავოს ნაციონალური შუღლი, რის დასამტკიცებლათ კმარა ამას წინეთ თქვენგან მიღებული დასავლეთის ერობა. შემდეგ ბ-ნ კოკოვცევის დაპირება შესახებ სამრევლოის განახლებისა, მახლობელი მღვდელ-მთავრებისა ღ მღვდლების ხელმძღვანელობით. ღირსნო მამანო! მე თქვენ მოგმართავთ, (ხმა მარჯვნით: გეთაყვა ნუ მიმართავთ!) რას ფიქრობდით თქვენ იმ დროს, როცა ბ-ნმა კოკოვცევმა ეს სიტყვა წარმო-

11 596
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

სთქვა, მას შემდეგ და ამ თქვენთვის უკუღმართ ზაფხულს საბლერმა მოიმოქმედა თქვენს შესახებ. როგორ მოგეჩვენათ თქვენ ეს სიტყვა, ნუ თუ თქვენ ის მწარე ირონიით არ მოგეჩვენათ ბატონებო? . . . (მარჯვნით:—არა არ მოჩვენებიათ!) თუ თქვენ გულახდილათ არ შეგიძლიათ აღიაროთ, მაშინ თქვენ მაგივრად მე ვიტყვი: ბ. კოკოვცევის დაპირებასა და ბ. საბლერისა და მრევლის ინტერესები შეურიგებელია, და სახარებას საბლერის ცირკულიართან საერთო არაფერი არა აქვს. (მარცხნით ტაში.)

განვიხილოთ შემდეგ ბ-ნ კოკოვცევის დაპირება შესახებ პიროვნების ხელუხლობისა და განსაკუთრებით წესებისა . . უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ მე ცოტაოდენი იმედი მაქვს, რომ ეს დაპირება ასრულდება. რისთვის ვფიქრობ ასე? მე ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ მეოთხე სახელმწიფო დუმაში ალბათ ერთი გოლოლობოვი კი მაინც აღმოჩნდება. მაგრამ ბატონებო, მე ჯერ მინდოდა ბ. კოკოვცევისგან დამატებითი დაპირება მიმეღო და აი რის შესახებ: სანამ მომავალი გოლოლობოვი არ მოინელებს პირ-ვნების ხელ უხლებლობის კანონპროექტს, მანამდე მას გუბერნატორობას ნუ მისცემს. (სიცილი) მაგრამ მე ამ მხრითაც არხეინად ვარ, რადგანაც ჩვენ შორის არის ისეთი კაცი, რომელმაც ჩინოვნიკის კარიერა უარყო და მას ამჯობინა დეპუტატის წოდება, მე ვფიქრობ, რომ ის ისევ ჩინოვნიკის კარიერაზე აღარ იფიქრებს. რაიცა შეეხება კანონ-მდებლობით შემოქმედებას ჩემის აზრით ის ამაში იმ გოლოლობოვს არ ჩამორჩება, რომელიც აქ იყო. ხო, სიტყვის თავისუფლება! აქაც არის ცოტა რაღაცის იმედი, მით უმეტეს, რომ ერთი მხრით ბ-ნ კოკოვცევს დიდათ უყვარს თავისუფალი . . . ნაღდი მეორე მხრით კი ჯარიმები გაზეთებზე, დღით დღე იზრდებიან და ხაზინაში შედის და რომელიც ახლა გვარიან მოზდილ ჯამს შეადგენს. (სიცილი მარცხნით ) ამას თუ კიდევ მიუმატებთ სენატის ახალ განმარტებას, რომლის ძალითაც დუმის ტრიბუნაზედაც იქმნა გავრცელებული დაცვისა და განსაკუთრებულ წესებთა დებულებანი, მაშინ ჩვენ სიტყვის თავისუფლებისა მომავალს ბრწყინვალეთ უნდა შევხედოთ. ბ. ბ. . . (მარჯვნიდან ხმა: (ცილისწამება არ შეიძლება!) დიახ, ხო, სახალხო განათლება! ამის შესახებ მე სრულიად დამშვიდებული ვუცქერი მომავალს, რადგანაც ამ წელში სახალხო განათლებისათვის განსაკუთრებით კარგი პირობები მოეწყო. მართლაც და ამის სათავეში თქვენ გყავთ ბ-ნი კასსო, აქ კი დუმაში სახალხო განათლების საქმეს თავმჯდომარეობს თვით ბობრინსკი ვლადიმირი, მისი ბრწყინვალება . . . (სიცილი მარცხნით.—ხმა მარჯვნით, კმარა!) მიუმატეთ ბ. ბ. (ხმა მარჯვნით: კმარა!) ეს ხომ ფაქტია! (სიცილი მარცხნით) მიუმატეთ ბ. ბ. ამ ორ არსებას, ღირსეული და მთელ რუსეთში განათლების ნიადაგზე მოღვაწეობით განთქმული, ამ ჟამათ აქ არ მყოფი ნოვოროსიის უნივერსტეტის ყოფილი რექტორი ლევაშოვი და თქვენ მიიღებთ ისეთ სამებას, (ტროიკას) რომელიც განათლების საქმეს მთელ რუსეთში სისწრაფით გააჭენებს, რომ მას მგონი ვერც ის ავტომობილი დაეწიოს, რომლის შეძენასაც ნიჟეგოროდის იარმარკაზე ფიქრობდა ერთი გუბერნატორი. (სიცილი და ტაში მარცხნით.) ამას ახლა ბ. თუ მივუმატებთ იმას, რომ მალე არაყის დუქნებში, არაყთან ერთათ გაყიდიან, სარწმუნოებრივ და ზნეობის შინაარსის წიგნებს, მაშინ იჭვი არ არის, რომ რუსეთში სახალხო განათლების საქმე, მეოთხე დუმაში მდევის ნაბიჯით წავა წინ. ბ-ნ კოკოვცევს სხვათა შორის არც პროლეტარიატი დაუვიწყებია. მართალია მუშებს ცოტა ავიწროებენ, თითქმის კიდეც დევნიან, ხშირად აპატიმრებენ, ასახლებენ, პროფესიონალურ კავშირებს უკეტენ, მათ ქონებას კონფისკაციას უშვრებიან, ახლის გახსნის ნებას არ აძლევენ, გაზეთებს სისტემატიურად ხურვენ, კონფისკაციას უშვრებიან, რედაქციებს კეტენ, რედაქტორებს ციხეში სვამენ, მუშებს დიდი ხალისით ტყვიებით გულს უგმირვენ, ხაზეინებს კი ათამამებენ აქეზებენ და ყოველივე ღონის ძიებით ეშველე-

ბიან, მაგრამ მუშათა სარგებლობასაც არ ივიწყებენ. (სიცილი მარცხნით. თავმჯდომარე ზარს რეკს.) ამას თუ მიუმატებთ იმ დარიგებას, რაც ამას წინად ბ. კოკოვცევმა მუშებს ურჩია, რომ მათ თუ არ მოსწონთ თავისუფალი ცხოვრება, მაშინ მიანიჭებენ არალეგალურ არსებობას, რისთვისაც მუშებს შეუძლიათ ბ. კოკოვცევს უთხრან: გმადლობთო! (სიც.) დააფასებენ რა ყოველივე ამას დ̃ მიიღებენ რა სახეში, რასაკვირველია, არ დააყოვნებენ ისინი შესაფერ დასკვნის გამოყვანას და მთავრობას შესაფერ საშვალებასაც მიუზღვენ. მაგრამ მე მაინც ერთს ვიტყოდი: თუ თქვენ, ბატონებო, მთავრობის წარმომადგენელი ხართ და ამ ტრიბუნიდან მუშების შესახებ ლაპარაკობთ, პირველად ის სისხლი მაინც უნდა მოგერეცხათ, რომელიც იმათ დიდი ხანი არ არის, რაც დაღვარეს. უამისოთ ბატონებო, მთავრობის წარმომადგენელებთან, რომელთაც ხელი მუშების სისხლით აქვთ გასვრილი, დიახ მათთან მუშებს საერთო ენა არ აქვთ. (ტაში მარცხნით) ბ-ნ კოკოვცევს არც კავკასიის გლეხები დავიწყებია.

ეს დამახასიათებელია დ̃ ამიტომ მოვიგონე მე ის. უნდა მოგახსენოთ, რომ 64 წლიდან კავკასიის გლეხებს პირდებიან განთავისუფლებას . . . . . მაგრამ დღემდე,—ამაში მე ღირსი პატივცემული დეპუტატი გიჟიცკი და სხვებიც მეთანხმება, კავკისიის გლეხობა განიცდის ფორმალურ ბატონ-ყმობას. ეს იმის დამამტკიცებელია, თუ რა ღირებულების არის ბ-ნ კოკოვცევის დაპირება. მაგრამ ბ. არის დეკლარაციაში ერთი დაპირება, რომლის შესახებაც მე თავდები ვარ და მგონი თქვენც იქნებით, რომ ის დაპირება შესრულდება. ეს არის პოლიციის რეფორმა. ამის შესახებ მე არხეინად ვარ და მრწამს, რომ ძლიერ ადრე ჩვენ რუსეთის მცხოვრებთ გვეყოლება ალბათ ორჯერ მეტი პოლიციელი, ვიდრე დღეს არის და გადვიხდით ექვსჯერ მეტს ვიდრე ახლა ვიხდით; მე დარწმუნეაული ვარ, რომ ყველა ეს პოლიციელი ათჯერ მეტს ქრთამს აიღებს, ვიდრე ახლა იღებს; ამის შესახებაც მე დამშვიდებული ვარ რადგანაც ვფიქრობ, რომ არა კანონიერება შეადგენს, ასე ვთქვათ საფუძველს რუსეთის ცხოვრებისას, თუ ეს მთავრობაზე იქნება დამოკიდებული, არამედ პოლიციური რეჟიმი. მანიფესტი კი, რომელიც მთავრობის დროშაზეა დაწერილი, ამბობს: „ათრიე და არ გაუშვა!“ ამით ბატონებო, შეიძლებოდა გაგვეთავებინა (ხმები ცენტრში! დროა! მარცხნით გთხოვთ) კარგი იქნებოდა თქვენ კიდევ მოგესმინათ! (სიცილი.) მე ამით გავათავებდი, მაგრამ მე არ შემიძლია არ უპასუხო სულ რამდენიმე სიტყვით მაინც ამ დეკლარაციის შესახებ ჩვენი დუმის ფრაქციებს. აქ ვალად ვრაცხ და საჭიროთ მიმაჩნია შევეხო მთავრობის დეკლარაციის დაფასებას მაგალითად კადეტების ფრაქციის მიერ. თქვენ გახსოვთ ბ.ბ. რა ილაპარაკა აქ იმის შესახებ ა. ი. შინგარევმა. ის ამტკაცებდა, რომ სიცოცხლის მიმნიჭებელი სული გაუფრინდა შეერთებულ კაბინეტს, იმისათვის, რომ იქ ადგილი აღარ აქვს ხალხის გაჭირვებას და ნაღველს. აი გზა, მიმართა მან მთავრობას, აი აქეთაა გზა განწირულთა, და მინისტრ პრემიერის დეკლარაცია, სთქვა მან, მაგონებენ იმ სიტყვებს, რომლითაც 1877 წელს მიმართა რუსეთის მთავრობას განჩაროვმა: ,,მარტო ბორბალი და მართულებია ცოცხალი საქმე კი არა‘‘ როგორც ხედავთ ბატონებო ა. ი. შინგაროვის სიტყვით მთავრობისაგან გაფრინდა ცოცხალი სული, და თქვენ მოგეხსენებათ, რომ როცა სხეულს ცოცხალი სული შორდება, რჩება მარტო გაციებული გვამი, რომელსაც დასაფლავება უნდა. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ თურმე ეს გვამი ლეში ჩვენ თვალწინ არის და ჰაერს სწამლავს. მგონია, რომ ამის შემდეგ დაყოვნება აღარ იყო საჭირო ნეშთის დასამარხავათ. მაგრამ აი მოისმინეთ ვ. ა. მაკლაკოვი რას ამბობს, მოიგონეთ მისი აღგზნებული სიტყვა მიმართული ამ ნეშთისადმი, ამ მიმართულებისა დ̃ ბორბალისადმი. ვასილი ალექსის ძემაც კარგად იცის, რომ ის მხოლოდ ლეშია, ბორბალია, რომელიც მხოლოდ ინერციულად ტრიალებს, ის მშვენივრად ხედავს, რომ სახელმწიფოში არა-

ვითარი ცოცხალი ძალა არ არის, მაგრამ მაინც დაჟინებით ამ მოშლილ აპარატს უმღერს: „ოჰ, რა ადვილი გასაცოცხლებელი ხარ, ოჰ, რა, კარგი იქნებოდა, რომ წმინდა რუსეთის სადიდებლად ისევ ამუშავდებოდეო.“ უმღერო უსულო ნაშთს და ლამობს ჩაბეროს კეთილი სული. რა უნდა ვთქვათ, ბატონებო, ამის შემდეგ მთავრობის დეკლარაციის შესახებ კადეტების შეხედულების დასაფასებლათ! მე უნდა მოგახსენოთ, რომ ხალხის თავისუფლების პარტია, ისე როგორც მესამე დუმაში, გამოვა დაიწყებს ზნეობრივ დარიგების კითხვას და ამ რაგად მას ხშირად მოუწევს შეასრულოს დიდებული კრილოვის მზარეულის როლი. ისინი ალბათ ამ მზარეულის მსგავსათ ხშირად ერთს და იგივეს გაიმეორებენ: კატუნია გაიძვერაა, კატუნია ქურდია, ის გაფუჭებულია, ის ჟამია, ის აქაურობის მომწამვლელიაო‘‘ მჭერმეტყველურათ გაიმეორებენ კადეტები, მაგრამ ამავე დროს კატუნიას მიართმევენ მოხრაკულს, არა უბრალოს არამედ ქათმის ხორცისას, სამმილიარდ ოქროთ ღირებულს. მე ვფიქრობ ბ. ბ. რომ მთავრობის დეკლარაციის ასეთი დაფასებას უნდა ანგარიში გავუწიოთ. რაიცა შეეხება ბ. ბ. ოქტომბრისტებს, გამოდის, რომ თუ ხალხის თავისუფლების ფრაქციის აზრით, ყოველ შემთხვევაში მაკლაკოვის სიტყვით, ქვეყნის ხსნა დამოკიდებულია მთავრობის კეთილ ნება-სურვილზე, სამაგიეროთ ბ. ბ. ოქტიაბრისტები 17 ოქტომბრის კავშირისაგან გადაიქმნენ კეთილგონიერების კავშირად და ქვეყნის ხსნასაც ამ კეთილ გონიერებაში ხედავენ. რა სალაპარაკოა ბ-ნნო წევრნო სახელმწიფო დუმისა, რომ საღი გონიერება კარგი რამ არის და მე ძლიერ ვწუხვარ, რომ ბატონ ოქტომბრისტებს საღი გონიერება გვიან მოაგონდათ—ეს ერთი; და მეორეთ მე ამდენ ხანს ვერ გავერკვიე საიდან არის ეს საღი გონიერება და სად არის მისი საყოფელი. ბატონებო, თუ ამას წარმოიდგენთ, რომ ხალხის მასსას შეეხება, პატივცემულმა ბარონმა მეინდორფმა პირდაპირ განაცხადა, რომ მასსის ინსტიკტები სრულებით არ არის ანგარიში მისაღებიო—რომ მარტო დემაგოგებს შეუძლიათ მიმართონ მასსის საღ გონიერებას და მათგან თვის საჭიროებათა შეგნებას. მაშასადამე ის კეთილგონიერება, რომელზედაც ბარონი მეინდორფი ლაპარაკობდა, მასსიდან არ გამომდინარეობს. იქნებ ის წარმოსდგება სხვა წრიდან და სხვა ელემენტებიწაგან. მე ვამტკიცებ, რომ ეს კეთილგონიერება არც იმათგან წარმოსდგება, ვისზედაც ოქტომბრისტები ეყრდნობიან, რადგანაც ეს ელემენტებიც კარგად მიხვდნენ, რომ თქვენ სახემწიფო დუმაში ნაკლები რიცხვი შეეშვით. დაგვრჩენია ის-ღა ვიფიქროთ, რომ ეს კეთილგონიერება გეკუთნით მარტო თქვენ. როგორი იქნება ბატონებო, ამ კეთილგონიერების შედეგი შემდეგში ამას მე თქვენ ვერ გიწინასარმეტყველებთ, მაგრამ ვიცი, რომ მესამე დუმაში ეს თქვენი კეთილგონიერება მიმართული იყო ვიწრო წოდებრივი ინტერესების დასაცავათ, მეტი რომ არ ვთქვა, თქვენი ჯიბის ინტერესების დასაცავათ, მე არ მსურს რასაკვირველია, რომელიმე თქვენთაგანს პირადათ შევეხო.

რაც შეეხება ბ-ებო ნაციონალისტებს აღმოჩნდა, რომ ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში სულ ეძებენ და ეძებენ პოლიტიკურ ედისონს, რომელმაც უნდა გამოიგონოს ისეთი კარგი აპარატი, რომელმაც შესძლოს და ზოდიოლოგიური ნაციონალიზმის პრინციპი მთელ რუსეთზე ამყნოს. თქვენ, ბატონებო, ეს ედისონი ამდენ ხანს ვერ იშოვეთ და მისთვის ჩასჯინებიხართ ბ-ნ კოკოვცევს: მოგვეცი ასეთი ედისონი და სხვა არაფერიო. (სიცილი). მაგრამ ბატონებო, მე ვფიქრობ, რომ თქვენი ასეთი ქცევა, ასე ვთქვათ საალლუმო ხასიათის არის, აქ ე. ი. თქვენ ბ. კოკოვცევისაგან იმდენად ედისონის მიღება კი არ გსურთ, რამდენათაც იმ საშუალების, რომელიც თქვენს აპარატს ეჭივრება, რომ ის უფრო შეაიარაღოთ და მერმეთ თქვენი ზოოლოგიური ნაციონალიზმის პრიციპებისთვის გამოიყენოთ. მე ვფიქრობ, რომ თქვენ ამ მხრივ ბ-ნ კოკოვცევს შეეწყობით და მისგან

მიიღებთ, რაც გწადიათ. რასაკვირველია ძნელი წარმოსადგენია ბ ნო ნაციონალისტებო, რომ თქვენ ოდესმე იმ ქაობიდან ამოხვიდეთ, რომელზედაც ამასწინად ისე მჭერმეტყველურად ლაპარაკობდა სახემწიფო დუმის წევრი სავენკო, მით უმეტეს, რომ თქვენ თქვენი ნაციონალური დროშა, ლოზუნგი პრინციპი აღფრთოვანება და ტემპერამენტიც ერთ კაცთან, პეტრე არკადის ძე სტოლიპინთან ერთად თურმე დაასაფლავეთ. რასაკვირველია, თქვენი ახლანდელი მდგომარეობა არ არის სახარბელიო მაგრამ თქვენ ამაზე ყოველ შემთხვევაში უნდა იფიქროთ და იფიქროთ დიდხანს და დიდხანს. (ხმა მარჯვნით: დაცინვა არაა საჭირო...) მაგრამ ბარონ მეინდორფი დიდათ იყო აღშფოთებული, რომ ბ. ბ. მემარჯვენეები სერიოზულათ გადადიან მთავრობის ოპოზიციაშა და ამისთვის ბ-ნ კოკოვცევს ურჩევდა შეეძახა მათთვის: ,,ვერ შეგვაშინებთო!'' მე უნდა დავამშვიდო გრაფი მეიენდორფი არაფერი მაგის მსგავსი არ არის! ბ. ბ. მემარჯვენეების ყველა ლაპარაკი შესახებ მმართველობის დღევანდელი ფორმისა, შესახებ კონსტიტუციისა, შესახებ პრეროგატივებისა და სხვათა, თქვენს წინაშე მშვენიერად გამოაშკარავა დეპუტატმა მარკოვ მეორემ. მდგომარეობა სრულიად ჩვეულებრივი და სადაა, მაგრამ მემამულისათვის კი უმაღლეს ხარისხამდე მნიშვნელოვანი; ეს სახელდობრ ის არის, რომ მას ჯერ კიდევ გაუყიდელი ყავს ექვსი უღელი ხარი, ოჯახური მეურნეობა გავერანებულია (ტაშის ცემა მარცხნით) და ოპოზიციის მას სრულებითაც არ ეშინია; არც ერთი მემამულე არ შეუნდობს მინისტრს, თუ მისი გოჭები ადრე არ გაიყადა, თუ მისმა ძროხებმა თავის დროზე ხბოები არ მოიგო, დიახ ეს თქვენი ჩვეულებაა- მარა ამაში თქვენ, ალბათ ბოლოს მას შეუთანხმდებით. მე ვანუგეშებ ბარონ მეინდარფს, რომ ისინი ერთი მეორეს ყვირილს არ დაუწყებენ, შერიგდებიან და ისევ ისე მეგობრულად იცხოვრებენ, როგორც აქამდე. მაგრამ, ბატონებო, ასე იყო თუ ისე, დეკლარაციის შესახებ რამდენიმეთ მაინც იყო გაუგებრობა ამ ფრაქციისა დ მთავრობის შორის, მაგრამ ეს გაუგებრობა იყო წმინდა სიტყვიერი ხასიათის და არა არსებითი. მაგრამ ერთმა პუნქტმა ბ ნებო საერთო მოწონება და ერთსულოვნება გამოიწვია, გარდა სახემწიფო დუმის მცირე ნაწილისა, ეს გახლდათ ის, რაზედაც ბ. კოკოვცევმა ილაპარიკა ე. ი. საერთაშორისო პოლიტიკაზე. აქ მაშინ გაისმა მწყობრი ტაში, ბოლოს ამის გამო დუმის უმეტესობამ კოკოვცევის დეკლარაციის შესახებ ამ ტრიბუნიდან გამოსთქვა ლოზუნგი: ჩვენ ომი არ გვსურს, ჩვენ ანგარიული მიდრეკილება არ გვაქვს, ჩვენ დასაპყრობლათ არაფერი გვინდა, ჩვენ სხვის ქონებას არ შევეხებით, მაგრამ თუ შემთხვევა დარჩა თუ განხეთქილება ჩამოვარდა ჩვენ ომის არ გვეშინიაო. ასეთი იყო ლოზუნგი საგარეო პოლიტიკის შესახებ, ბ. კოკოვცევის დეკლარაციის საპასუხოთ. მე არ მწადია, ბ ნებო, კარგი ბუნება ჩაგიმწაროთ და გაგიფუჭოთ, მაგრამ ჩემი ვალია ერთი რამ მაინც მოგახსენოთ: ბატონებო, ერთხელ ქოთანი თავისიანებში იკვეხიდა მე ოქროს ფსკერი მაქვსო, მაგრამ ამ დროს მისდა საუბედუროთ თავზე წაადგა ციცხვი, (კოვზი) რომელიც მის ფსკერში ხშირათ ,,ეხრაგუნებოდა'' და მკვეხარას მოახსენა: გეთაყვა ტყუილებს ნუ ლაპარაკობ, განა არ ვიცი, რომ ოქროს კი არა, თიხის ფსკერი გაქვსო!'' ნება მიბოძეთ ბატონებო, წარსულიდან საქმის გასაშუქებლად, იმ საქმის, რომელიც საგარეო პოლიტიკას შეეხება, მე იმ კოვზით ცოტა ოდენი სიმართლე მოგართვათ. ეს საქმე ბატონებო, დიდი ხანი არ არის, რაც მოხდა. ეს საქმე იყო 1912 წლის 7 მაისის სახელმწიფო დუმის 126 სხდომაზე. და აი ამ სხდომაზე სხვათა შორის ილაპარაკეს უმთავრესი არტილერიის ხარჯთა აღრიცხვის შესახებ. და აი ყოფილმა თავმჯდომარემ ბ. გუჩკოვმა, სახელმწიფოს დაცვის კომისიაში, სხვათა შორის სთქვა: მე განსაკუთრებით ვთხოვ ყურადღება მიაქციონ ამ ადგილს იმათ, ვისაც შეძლება არ ჰქონდა ამ სხდომას დასწრებოდა: ,,ვცნობ რა რომ არტელერიის მატერიალური მხარე და საქმი-

ანობა უმთავრესი საარტელერიო გამგეობისა წარმოადგენს სერიოზულ საშიშროებას სახელმწიფოსა და სახელმწიფოს დაცვისას...

თავმჯდომარე: (სიტყვას აწყვეტინებს სახელმწიფო დუმის წევრო ჩხეიძე... არ ისმის.)

**ჩხეიძე**. ეს სახელმწიფო დუმის ღია სხდომაზე იყო ნათქვამი, ამისათვის მე მივმართე მთავრობას და მასთან გუჩკოვმა განმარტა რა ეს ფორმულა, განაცხადა: ,,ჩვენ თუ ამ ფორმულას მივყვებით, მერწმუნეთ, რომ ფიალა ავსებულია, და ზიზღისა და პროტესტის ხმის მეტი აღარა დაგვრჩენია რა!‘‘ მარკოვი მეორე ავიდა ტრიბუნაზე და განაცხადა: ,,გულმწუხარებით უნდა დავეთანხმოთ, იმას რაც ახლა იყო თქმული გუჩკოვის მიერ, მასთან ვნანობ, რომ მის მიერ დახატული მდგომარეობა მკრთალი იყო და არა საკმარისათ გაშუქებული!‘ პ. ნ. მილიუკოვმა კი დაამატა: ,,თქვენ დღეს ამ კათედრიდან საშიშარი სიტყვები გაიგონეთ: სახელმწიფო დაცვის კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ და ამასთანავე სახ დუმის ხელმძღვანელ ფრაქციის თავმჯდომარემ გვითხრა ჩვენ, რომ მატერიალური მდგომარეობა, ისეთი მნიშვნელოვანი დარგის, როგორიც არის საარტელერიო გამგეობა, იმდენათ ცუდი არის, რომ სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს სახელმწიფოსთვის და მისი დაცვისათვის, ჩვენ ეს უნდა დავიჯეროთ, მით უმეტეს, რომ მთავრობა მას არ უარყოფს. ლერხემ დასძინა რომ: ,,ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც არის სახელმწიცოს დაცვა, პარტიული ანგარიშის გაწევა საჭირო არ არისო!‘‘ აი, ბატონებო, როგორი იყო საქმის მდგომარეობა ამ რამდენიმე თვის წინად. რა მოხდა იმის შემდეგ ისეთი, რომ ჩვენ მამაცურად ვიძახით: ,,ჩვენ არავისი არ შეგვეშინდებაო!‘‘ შეიძლება ის მოხდა, რომ ზოგიერთ წევრებს სახელმწიფო დუმისას, ახლაც არ უშვებენ სახელმწიფო დაცვის კომისიაში, მაგრამ ბატონებო, ეს მოსაზრება ვერაფერი მნიშვნელოვანია. ან და შეიძლება სხვა მხრივ დაგვიდგა უკეთესი დრო? იქნებ ჩვენ ვგრძნობთ ზნეობრივ სიდიადეს? იქნებ რუსეთი ზნეობრივათ გადიადა იმით, რომ მთავრობა და მმართველი კლასი გაერთიანდა ხალხის მასსასთან და ეს ხალხის მასსაც მხარს უჭერს რუ სეთის საზოგადოების ზედა ნაწილს? მე ვფიქრობბ-ებო, და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ასეთი სიძულვილი, (ანტაგონიზმი) ასეთი უფსკრული, ასეთი წინააღმდეგობა რუსეთის ზედა და ქვედა ნაწილების შორის ესე იგი მმართველებსა და ხალხის შორის დიდი ხანია, რაც არ ყოფილა; მაგრამ იქნება ჩვენ გავმდიდრდით, შევიქენით თავისუფალნი და ახლა სხვებს ვანთავისუფლებთ? მაგრამ, ბ-ნებო, მე ვფიქრობ, რომ თათრების უღელის ქვეშ მყოფნი ბალკანელები ისე დამონებულნი არ არიან როგორც რუსის ხალხი და სხვა რუსეთში მყოფი ერები ჩვენი მთავრობის უღლის ქვეშ. (ტაშის ცემა მარცხნით). ამისათვის მე ვფიქრობ, რომ ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ბალკანეთის ხალხის განთავისუფლებას მონობისაგან, მაგრამ ჩვენ გვსურს იმავე უღლისგან გავანთავისუფლოთ არა მარტო ბალკანელები არამედ ოსმალონიც, მუსულმანებიც და რუსეთის ხალხებიც ამის თქმა ყველას შეუძლია. ძლიერ უყვარს, ძლიერ პატივს სცემს სლავიანთა ტომი, მეზობელ სლავიანებს, თავის ღვიძლ ძმებს მაგრამ ბატონებო, ყველაზე უწინ რუსის ხალხი და სხვა რუსეთში დასახლებული ერებიც საჭიროებენ, რომ თვით იყვენ თავისუფალნი. სხვას თავისუფლებას მხოლოდ ის მოუტანს, რომელიც ასე ვთქვათ, თან არ ანატრებს: ხმალს, ლახვარს, შტიკს და სხვა ასეთებს არამედ თავისუფლებას. აი როცა ეს თევისუფლება რუსისა და რუსეთში მცხოვრებ ხალხისთვის უზრუნველ ყოფილი იქნება რუსეთს მხოლოდ მაშინ შეეძლება სთქვას: „მე მივდივარ, რომ გავანთავისუფლო ტვირთ მძიმენიო.“ აი ბატონებო, როგორია ამოცანა საშინაო და საგარეო პოლიტიკისა: თავისუფლება რუსის ხალხისთვის, თავისუფლება ყველა იმ ხალხთათვის, ვინც რუსეთში სცხოვრობს! მაგრამ ამ თავისუფლების მოსაპოებლად არ ვარგა არც ბ. კოკოვცევი და არც მისი მთავრობა, და არც მეოთხე სახელმწიფო დუმა.

რუსისა და რუსეთში დასახლებულ ხალხებს უნდა ქონდეს თავისი დუმა, თავისი მთავრობა, გამომხატველი მისი ნების, სურვილის და იმედების, აი ასეთი დუმით და ასეთი მთავრობით რუსეთი წავა წინ და ჩვენც ამ ტრიბუნიდან, მთავრობის დაპირების წინააღმდეგ მოვიწოდებთ ხალხს და რუსეთს, სწორედ ამ თავისუფლებისაკენ, სწორედ ამ ნაბიჯისაკენ, რომ მან ჩქარა უზრუნველყოს თავისთვის ეს თავისუფლება, ეს გამარჯვება და ამ გამარჯვებით მან შესძლოს წავიდეს აღმოსავლეთით და დასავლეთით თავის დევიზით: ,,თავისუფლება რუსეთის ირგვლივ ყველა მეზობლებს:‘ (ტაშისცემა მარცხნით ).

---

**დეპ. პეტროვსკის** სიტყვა (ეკატერინოსლავის გუბერ. მუშა-დეპუტ). ბ. ბ. სახენწიფო სათათბიროს წევრობა მე ვიკისრე უპასუხო ბ. მინისტრს მხოლოდ იმ მუხლის შესახებ, სადაც ის შეეხო რუსეთის პროლეტარიატის კეთილდღეობას, მაგრამ ამასთან გზა და გზა უნდა შევეხო სხვა და სხვა პოლიტიკური ჯგუფების და დუმის ფრაქციების აზრებს, რომლებიც აქ გამოითქვა. მე მგონია, რომ ყველა პარტიები, ყველა ჯგუფები, გარდა სოციალ დემოკრატებისა ეძებენ მთავრობის განწყობილებას. ერთნი ამბობენ: მოგვყევით ჩვენ, იმიტომ რომ ჩვენ ვამაგრებთ თვითმპყრობელობას და უარვყოფთ „მანიფესტს“, რადგან ის იყო გამოცემული ნაუცფათევათ; სხვები ლაპარაკობენ: შეხედეთ ამ მანიფესტს კეთილი თვალით და ჩვენც თქვენ გამოგყვებით. მხოლოთ, ერთათ ერთი სოციალ დემოკრატიული ფრაქცია ლაპარაკობს, რომ ამ მანიფესტისთვის, რომელზეც ხალხის თავისუფლების პარტია ფიქრობს, რომ თუმც განახრრციელებენ მაშინ ის გაყვება მთავრობას, აი ამ მანიფესტისთვის ისე ბევრი მსხვერპლი შეიწირა, ისე ბევრი სისხლი დაიღვარა მარტო ეს საკმაოა იმისთვის, რომ განხორციელებულ იქნას ის „თავისუფლებები“ რომელიც 1905 წ. აზვირთებულმა ხალხურმა ტალღამ გამოგლიჯა მას ხელიდან და რომლის მეოხებითაც დღეს თქვენ აქ ზიხართ. მაგრამ მას შემდეგ გავიდა უკვე 7 წელი და ჩვენ კვლავ იმავ დუხჭირ ცხოვრებას ვატარებთ, ისევ მონები ვართ და ყოველივე ეს ველური წყობილება თქვენივე ხელით გაამაგრეს.

ბატონებო, თქვენ იცით ის პოლიტიკური თვითნებობა, რომელიც ამ ჟამთ არსებობს რუსეთში, იცით, რომ ხმარებაშია ფიზიკური სასჯელი, რომელსაც ამ ჟამათ ჩვენს ამხანაგებს ციმბირის სატუსაღოებში ხშირათ აყენებენ; გვეგონა, რომ ეს საკმარისი იქნებოდა, მაგრამ თურმე ეს მსხვერპლიც ცოტაა.,. (ხმა ცენტრიდან: კიდევ პროკლამაციას კითხულობთ?)... და აი მე გადავდივარ იმ ჩემი სიტყვის ნაწილზე, რომელშიც მინდა შევეხო მთავრობის მოქმედების იმ ხასიათს, რაზეც ჩვენი ამხანაგები ამ ტრიბუნოდან ხშირათ უთითებენ, სახელდობრ მთავრობის იმ ორ- პირობაზე, რომ შეპირდება ხოლმე ხალხს და არასოდეს კი არ შეასრულებს. მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას ის ფიქრობს, ყოველ შემთხვევაში დაზღვევის კანონების საშვალებით, რომელიც ამ ჟამათ შემოდის, მაგრამ შემოდის ისეთი წესით, რომ მისვე წინააღმდეგ ამხედრებს მუშებს. დაზღვევის ასეთ კანონების გატარებით მუშათა მდგომარეობა არ უმჯობესდება, ის კი არა შესამჩნევად უარესდება კიდეც. ეს კანონი ეხება რუსეთის პროლეტარიატის მხოლოდ $^{1}/_{7}$ ნაწილს, რომლის ჯიბიდან ამოაქვს დაახლოებით 11.000,000 მ. კაპიტალისტებისათვის. ეს კანონი თხოულობს დაშავებულ მუშის 13 კვირის ნამუშევარი ქირა მიეცეს, როგორც დახმარება .წინათ ჩვენ რუსეთის მუშებს ცოტა რამ საექიმო დახმარებას კაპიტალისტების ხარჯით გვაძლევდენ; ახლა კი ეს დახმარება თვითონ მუშებისავე ხარჯით უნდა მოეწყოს. ეს კანონი შესამჩნევათ აუარესებს განსაკუთრებით რკინის გზის მუშების მდგომარეობას. ის გვარიანათ ამცირებს დაშავებულთათვის დანიშნულ დახმარებას იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მუშა კარგავს შრომის ნიჭს და მასთან ამ დაშავებულთ დახმარება ეძლევათ იმ საპენსიო ფონდიდან, რომელშიაც მონაწილეობას დებულობენ თვითონ რკინის გზის მუშები და მოსამსახურეები და თუ ეს კანონი გატარდა ისე, როგორათაც მას პეტერბურგში ატარებენ გ. ი. არა საარჩევნო წესით არამედ დამზღვევ საბჭოს წევრთა მაღლიდან დანიშვნით, მაშინ ეს ჩვენთვის სულ უარესი იქნება, იმიტომ, რომ სანამ ეს იქნებოდეს სხვა და სხვა წარმოების შეკავშირებუ-

ჲ 90
1913

ლი ფაბრიკანტები ჩაიგდებენ თავის ხელში ყველაფერს და ჩვენ ამით კიდევ იმაზე უარეს მდგომარეობაში ჩავარდებით, ვიდრე დღემდი ვიყავით რადგან ფაბრიკანტები სულ იმის ცდაში არიან; არაფერი გადაიხადონ ჩვენი დაშავების გამო, რომელიც ფაბრიკა ქარხნებში და მაღაროებში გვემართება. ქვევით ბ.ბ. მინისტრი ტრაბახობს ამ დამზღვევი კანონებით და მას სრულიად დაავიწყდა, რომ ელაპარაკნა იმ დაპირებაზე რასაც ხალხს 1905 წ. აქ დავრდომილობის და სიბერისაგან დაზღვევის შესახებ აღუთქვამდენ. და ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ დღეს მუშების შრომის ინტენსიური ექსპლოატაცია და წინაამდეგობა მათი მხრით მატულობს და ჩვენებური ტეხნიკური ჩამორჩენილობის გამო მუშების დაშავება იზრდება, მაშინ როდესაც ქარხანაში მისადები მუშების ხნოვანება ისაზღვრება 45 წლით. უბედურება კიდევ იმით ორკეცდება, რომ მიწის სიმცირის გამო ˙საქმე გლეხობის იქამდის მიდის, რომ დავრდომილი მუშა სოფლათ თავშესაფარს ვერდარ შოულობს და აუტანელ სიღატაკეში ვარდება. მთავრობას უმუშევრობისაგან დაზღვევაც დაავიწყდა, ამას გარდა მთავრობამ არა მარტო თვითონ მიივიწყა ის, პროფესიონალურ ორგანიზაციებსაც კი არ აძლევს ნებას, მოივლონ თავიანთი უმანკო ამხანაგები და დახმარება მისცენ მათ. მაგალითად პეტერბურგის მეტყავეთა პროფესიონალურ საზოგადოების ქალაქის უფროსმა აღუკრძალა დახმარებოდა თავის უმუშევარ წევრებს. ეს კიდევ ცოტაა, პეტერბურგის ქალაქის საზოგადოებათა საკრებულომ აკრძალა პროფესიონალურ საზოგადოებას წესდებაში შეეტანათ მუხლი შესახებ იმისა, რომ თუ საზოგადოების წევრი უმუშევარია, არ უნდა ითვლებოდეს საზოგადოების წევრათ და აქედან მას დახმარებაც არ უნდა ეძლეოდეს საზოგადოებისაგან., არც შენობაზე მომუშავეები არიან, ბატონებო, მოხსენებულნი ამ კანონში, ყველამ იცის თუ რა კატასტროფები დატრიალდა ამ სფერაში ამას წინათ მაგალ. შემდეგ ქალაქებში: კიევში, სარატოვში პეტერბურგში. ამ კატასტროფებმა საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა შენობებზე მომუშავენი, ზოგი სიცოცხლეს გამოასალმა და ბევრი კი დაასახიჩრა და ბევრის ცოლშვილი უმწეოთ უპატრონოთ დარჩა და აი ამ ოჯახებზე მთავრობამ სრულიათ დაივიწყა, მაშინ როდესაც ასეთი კატასტროფები ხშირდება და სირცხვილს მოკლებული მოიჯარადრები და სახლის მშენებლები მხოლოთ ეკლესიური მონანებით და ორი კვირის ციხეში ჯდომით იხდიან სასჯელს. (იცინიან) თქვენ ბატონებო, ტყუილათ იცინით თქვენ იმიტომ გეცინებათ, რომ ჩემი სიტყვა არ არის ისე მოქნილი და ხმოვანი, გამრთობელი, რომ თქვენ მაღა მოგგვაროთ, მარა როდესაც ეკატერინოსლავის გუბერნია მგზავნიდა და როდესაც მე დეპუტატებს ვუთხარი, რომ შესაძლოა მე ვერ გამოვსთქვა სათათბიროს წინაშე ის მწუხარება, ის უბედურება, რომელშიაც გარემოცულია თქვენი ცხოვრება მეთქი, მუშებმა მითხრეს: წადი და ილაპარიკე იმაზე, რითაც ჩვენ ვიტანჯებით, წადი და ილაპარიკე ყველა ჩვენ ამხანაგებთან ერთათ რაც ჩვენ გვაწუხებს და არ შეფიქრდე, არ მოერიდო. მე არ შევფიქრდები, არ მოგერიდებით და ვილაპარიკეფ თუ გინდ თქვენ, ბატონებო, კიდევაც ბევრი იცინოთ, თქვენ გეცინებათ ხოლო ჩვენ თქვენი სიცილით აუტანელი მწუხარება და მონობა გვადგია. (ტაში მარცხნით)

ორატორი არკვევს აგრეთვე დაზღვევის კანონის მრავალ ნაკლს, რომელშიც უფრო დაცულია კაპიტალისტების ინტერესები ვიდრე მუშების და უთითებს მასზე, რომ მთავრობა სდევნიდა და სდევნის მუშების ყოველგვარ ორგანიცაციებს და ხელს უწყობს კაპიტალისტებისასო. მაგრამ მუშებმა შეიგნეს თავისი მდგომარეობა; ჩვენი წითელი დროშის დანახვა თქვენ თავზარსა გცემთ და შიშსა და ძრძოლაში გაგდებთ, მაშინ როდესაც მაზე მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა წარწერილი: ,,პროლეტარებო, მთელი ქვეყნისა შეერთდით!‘‘ შეერთდით მწყობრი ბრძოლისთვის, რომ განახორციელოთ ამ ქვეყნად ძმობა, ერთობა თანასწორობა და სოციალიზმი, რომელიც გვიხსნის ჩვენ და ჩვენთან ერთად მთელ კაცობრიობას. ძ აი, რუსეთის პროლეტარიატმა და კერძოთ მისმა ნაწილმა, ეკატერინოსლავისამ აგრეთვე სთქვა: რომ ის მზათაა შეუერთდეს მთელი კაცობრიობის პროლეტარიატის მსვლელობას, მის წითელ დროშას, რომ მიაღწიოს მიზანს და დაიმკვიდროს უკეთესი ცხოვრება. (ტაშისცემა მარცხნით).

**გამომცემელი ს. ხვიჩია.**

ქუთაისი, «კომერციული» საბეჭდავი ბ. ს. კურცხალიასი.